[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დილის 14—76. სტამბის—ღამის—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 25 მაისი, 1921 წ.

№ 68 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 68

## მოწოდება

**საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ყველა რკინისგზელი მუშისადმი.**

ამხანაგებო! თებერვლის სოციალისტურმა გადატრიალებამ საქართველოში გაანთავისუფლა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა ანტანტას ბრჭყალებიდან და კაპიტალის დამქაშების, მენშევიკების მძიმე უღლიდან. რევოლუციონური მოძრაობის ისტორიაში არ ყოფილა და არ იქნება არასოდეს მაგალითი, რომ კლასიური თანამშრომლობით (პროლეტარიატისა ბურჟუაზიასთან) მუშათა კლასს მიეღწია ბურჟუაზიის ჩაგვრისაგან შრომის სრული განთავისუფლებისათვის. „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ" მიმავალმა შრომის გამცემლებმა გერმანიაში, სოციალ-დემოკრატებმა (შეიდემანი, ნოსკე და კომპანია) გერმანიის მუშათა კლასი ჩაუგდეს ხელში პრუსიის იუნკრობას და ხელი შეუწყვეს რეაქციის გაბატონებას. საქართველოს ყოფილმა მმართველებმა, მენშევიკებმა, ამავე „დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ" გაამეფეს საქართველოს მუშათა კლასზე დასავლეთ ევროპის კონტრ-რევოლუცია და გააძლიერეს ყვითელ ნაციონალისტური პარტიების გავლენა.

ამიერიდან ქართველი ხალხი, ქართველი ერი და საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა სავსებით განთავისუფლებულია სხვა და-სხვა ჯურის მტაცებელთაგან. ახლა ჩვენ უნდა მოვაწყოთ განთავისუფლებული შრომა!

ჩვენ უნდა ჩავირაზმოთ მთლიან რევოლუციონურ ფრონტში, შემოვკრბეთ ჩვენ მებრძოლ საწარმოო კავშირების ირგვლივ! ჩვენ უნდა გადავჭრათ რთული ამოცანები, რომლებიც სამკვიდროთ მივიღეთ ბურჟუაზიისაგან: საკითხები შიმშილის, სიცივის და ტრანსპორტის დაშლის შესახებ. ტრანსპორტის აღდგენა უდრის მთელი ჩვენი მრეწველობის აღორძინებას. რკინის გზა—ეს ქვეყნის მთავარი მასაზრდოებელი არტერიაა. შიმშილის დაძლევით, შრომის განაყოფიერებით და ტრანსპორტის აღდგენით ჩვენ, რკინისგზელები, უზრუნველვყოფთ ჩვენს სოციალისტურ რესპუბლიკას არა მარტო სურსათით, რომელსაც ნორმალურათ გადავზიდ გადმოვზიდავთ, არამედ ვიხსნით მას ეკონომიურ დაშლისაგან.

ჩვენ, ამიერ-კავკასიის გაერთიანებული რკინისგზელები, საერთო ძალღონით სწრაფათ აღვადგენთ ჩვენს ტრანსპორტს. როგორი პროვოკაციაც არ უნდა აწარმოონ ბ.ბ. მენშევიკებმა, ესერებმა და სხვა ნაციონალისტებმა ამიერ კავკასიის რკინის გზების რკინისგზელების გაერთიანების გამო, ჩვენ მაინც გავიმეორებთ და არ დავივიწყებთ ჩვენს დევიზს: ჩვენი ძალა ერთობაშია! ამიტომ შორს თქვენი ხელები. საერთო ინტერესები, დანგრეული მეურნეობის საერთო ძალით აღდგენა და ნორმალური სოციალისტური აღმშენებლობა ჩვენთვის უფრო მაღლა დგანან ყოველგვარ ფრაზებზე და სიტყვებზე. მუშებს საქმე უყვართ. ამიტომ ამ საქმისკენ, ამხანაგებო! ყოველისფერი ტრანსპორტისათვის, ყოველისფერი მეურნეობის აღდგენის ფრონტისათვის

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რკინისგზელების გაერთიანებას! გაუმარჯოს ჩვენს მებრძოლ საწარმოო კავშირებს! გაუმარჯოს კომუნიზმს.

**საქართველოს რკინის გზელების პროფკავშირის პრეზიდიუმი.**

## დამოუკიდებლობა და საბჭოთა რესპუბლიკა

I.

საკვირველია ღმერთმანი! ხვალ, 26 მაისს დამოუკიდებლობა უნდა ზეიმით ვიდღესასწაულოთ და დღეს ბევრს ჩვენთაგანს თურმე არც კი ესმის თუ რა არის ეს დამოუკიდებლობა.

ამბობენ, საქართველო ათასი წლობით დამოუკიდებლათ ცხოვრობდაო, ხოლო ჩვენ ვიტყვით, არასოდეს ადამიანს დამოუკიდებლათ არსად არ უცხოვრია. თვით საზოგადოებრივი ცხოვრება—საზოგადოება ეს ადამიანთა შორის დამოკიდებულების გამოხატულებაა, ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობაა.

— არა, ჩვენ ვამბობთ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზეო, შემომძახებს ბევრი მკითხველთაგანი და მას შეკითხვითვე უნდა ვუპასუხო: და განა არსებობს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა? განა ყველა სახელმწიფოები ერთიმეორეზე არ არიან დამოკიდებულნი? ბურჟუაზიული დიდი სახელმწიფოები ერთნაირათ ყველაზე უფრო არიან ერთიმეორეზე დამოკიდებულნი, მარა მეორე მხრით მათი ბანაკიც „ორ კოალიციათ" იყოფა და თვითოეული წევრი ამ კოალიციისა დიდათ დამოკიდებულია სხვა წევრებზე. მაგალითათ საფრანგეთი ვერსალის საზედნიერო ზავის შემდეგ დიდი ხნით ადრე ისარგებლებდა თავის მდგომარეობით და გერმანიის მნიშვნელოვან ნაწილებს ოკუპაციას გაუკეთებდა, რომ მისი პოლიტიკა ინგლისის პოლიტიკაზე არ იყოს დამოკიდებული. წვრილი სახელმწიფოების დიდ და დაწინაურებულ იმპერიებზე დამოკიდებულება ხომ სადაოც არაა: ისინი დღეს ამ მსხვილების „კოლონიებათ" გადაქცეულან და მეტროპოლიის ბურჟუაზიას ამაგრებენ. მაშ რაშია საქმე; რაა ეს დამოუკიდებლობა, რომელსაც ჩვენ 26 მაისს ვდღესასწაულობთ?

საქმე იმაშია, რომ ადამიანი ერთ დროს ყველაფერზე დამოკიდებული, დროს განმავლობაში შრომის პირობების განვითარებით თანდათან თავისუფლდება და იფართოვებს დამოუკიდებლობის ფარგლებს. ის პირველ ხანებში დამოკიდებული იყო ყველაფრათ ბუნებაზე და რამდენიმეთ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. მარა შემდეგში შრომის პირობების განვითარების ერთ უმაღლეს ფაზაში დადგა ისეთი დრო, როცა ადამიანი გახდა ყველაფრათ დამოკიდებული საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, ხოლო ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან ის თითქმის განთავისუფლდა.

ადამიანს სწყურია ასევე სულ განთავისუფლდეს საზოგადოებრივ დამოკიდებულებისაგან, მაგრამ ეს მხოლოთ თანდათანობით დროს განმავლობაში და იმდენათ, რამდენათაც ამას საზოგადოებრივი შრომის პირობების განვითარება ხელს უწყობს. თვით სახელმწიფო კი—ეს უძლიერესი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, როგორც ძალდატანების გამტარებელი, მაშასადამე დამოკიდებულობის, დამორჩილების და არა დამოუკიდებლობის და თავისუფლების. გამოდის, რომ ჩვენ 26 მაისს ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობას აღნიშვნით ვდღესასწაულობთ ჩვენივე ურთიერთ შორის დამოკიდებულებას და საზოგადოებრივ მორჩილება-მონობას. ეს მართლაც ასე იქნებოდა, თუ ჩვენ ამ 26 მაისს ვდღესასწაულობდით იმ აზრით, რა აზრითაც ჩვენმა მენშევიკებმა და ნაციონალისტებმა იგი 1918 წლის 26 მაისის აქტით დააარსეს. მაგრამ ეს ასე როდია.

იყო დრო, როცა სახელმწიფო სულ არ არსებობდა. ის შეიქმნა იმ დროს, როცა კაცთა საზოგადოება უკვე კლასებათ დაიყო და ამ კლასებს შორის ბრძოლა გაჩაღდა; და აი იმ დროს გაბატონებულმა კლასმა შექმნა ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ადვილათ იმორჩილებდა დაჩაგრულ მშრომელ კლასებს და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასაც რამოდენიმეთ ხელს უწყობდა: ადამიანს საზოგადოთ ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან ანთავისუფლებდა.

ამნაირათ ეს ორგანიზაცია—სახელმწიფო ერთი მხრით რომ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას, მონობას ჰქმნიდა, მეორე მხრით ის რამოდენიმეთ თავისუფლებას ემსახურებოდა. ასეთივე იყო არსებითათ სახელმწიფო და ასეთივე იქნება ის, ვიდრე ის საზოგადოების მეტხორცათ არ გადიქცევა და როგორც მოპერებული სოკო ძირიან ფესვიანათ არ ამოვარდება. ეს კი მოხდება შორეულ მომავალში, ხოლო დღეს ის მოქმედებს მთელი თავისი ძლიერებით და ამას ჩვენ აუცილებლათ ანგარიში უნდა გავუწიოთ. მაგრამ აქ თავი და თავი ისაა, თუ საზოგადოების რომელი კლასი უდგია მას სათავეში. დღემდე მას სათავეში ედგა ყოველგან და ყოველთვის ეკონომიურათ გაბატონებული კლასი; ხოლო დღეს რუსეთის დიდი რევოლუციის მაგალითი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს შეიძლება სათავეში მოექცეს ეკონომიურათ ყველაზე უფრო დაჩაგრული კლასი და მან ეს სახელმწიფო თავის ინტერესების დამაკმაყოფილებელ საშუალებათ აქციოს.

**აქედან სახელმწიფო დაჩაგრული ხალხის განმათავისუფლებელი ხდება. წინათ კი ის მხოლოდ ამ ჩაგვრის გამოხატულება იყო. აი სადაა ძირითადი განსხვავება.** დღეს ქვეყნათ ამ ორი სხვა და სხვა ტიპის სახელმწიფო არსებობს: ბურჟუაზიული და პროლეტარული, ჩაგვრის, მონობის და თავისუფლების. ეს უკანასკნელი, ახალი ტიპის სახელმწიფო არის შედეგი პროლეტარული რევოლუციისა. ამიტომ ის არის ამ რევოლუციის გამღრმავებელი და განვითარების იარაღი; და როცა ჩვენ, კომუნისტები ვამბობთ, რომ ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასო, ამით ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვცნობთ მხოლოდ ახალ ტიპს სახელმწიფოისას, საბჭოთა ტიპს და რომ მხოლოდ ეს სახელმწიფოებრივი ფორმა მიგვაჩნია ჩვენ მშრომელი ხალხის და ადამიანის განმანთავისუფლებელ იარაღათ და არა ბურჟუაზიული სახელმწიფო, რომელიც თვით, როგორც ვთქვით, შექმნილია, როგორც ძლიერი ორგანიზაცია ამ მშრომელი ხალხის დასამორჩილებელ დასამონებლათ.

აი რატომ ვერ იდღესასწაულებს 26 მაისს მშრომელი ხალხი, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოს „დამოუკიდებლობის" აღდგენას და რატომ უნდა იდღესასწაულოს მან იგი, როგორც საბჭოთა რესპუბლიკის საქართველოში დაარსება. **მშრომელი ქართველი ხალხი განთავისუფლდება ყოველგვარი დამოკიდებულებისაგან მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკის საშუალებით და ამიტომ ამ დღეს იგი დღესასწაულობს, როგორც მომავალ სრულ თავისუფლებას**

იგი ამ საბჭოთა რესპუბლიკის, ამ ახალი სახელმწიფოს ტიპის დაარსების დღიდან დგება დამოუკიდებლობის, თავისუფლების გზაზე და დღემდე თვით მორჩილი და მონა, ამიერიდან ხდება ბატონი და მბრძანებელი. მაშასადამე მისი წინანდელი „დამოუკიდებლობა"—ეს იყო მისივე დამ უკიდებლათ, თავისუფლათ ჩაგვრა და ექსპლოატაცია გაბატონებული კლასის მიერ, ხოლო დღევანდელი დამოუკიდებლობა არის მისი დამოუკიდებლათ და თავისუფლათ ბატონობა მისი ქვეყნის ყველა ჯურის ექსპლოატატორებზე.

რაჟდენ კალაძე.

(დასასრული ხვალ)

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

**ამხ. კამენევის მოხსენება საკითხზე: „სოციალისტური რესპუბლიკა კაპიტალისტურ ქვეყნების რკალში".**

**კამენევი.** სრულის სიდინჯით და დაკვირვებით უნდა განვიხილოთ ჩვენ საკითხი ჩვენი კავშირისა და დამოკიდებულებისა კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან იმ მომენტში, როცა ჩვენი მოლოდინი დასავლეთ ევროპიდან სწრაფი დახმარების მიღებისა მსოფლიო რევოლუციის სახით, თუ გინდ ერთ ან ორ კაპიტალისტურ ქვეყანაში მაინც, რაიც შესამჩნევად შეამსუბუქებდა ჩვენ მდგომარეობას და ჩვენ ამოცანებს, არ მართლდება სასურველი სისწრაფით. აშკარაა, პროლეტარიატის მსოფლიო აჯანყებას რომ დაემხო ბურჟუაზიის ბატონობა, ყოველ შემთხვევაში ერთ ან ორ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მაინც,—ჩვენს წინ არ დაისმებოდა საკითხი კაპიტალისტური რკალის შესახებ, არც საკითხი ხელშეკრულებათა, სესხისა და კონცესიებისა, არც მრავალი ის კითხვები, რომელნიც ამ საქმესთან არის დაკავშირებული. აწინდელ პირობებში ჩვენი პრაქტიკული პოლიტიკა უნდა წარიმართოს იმ სახით, რომ ორივე ფეხები მარდათ დაჭედილი აღმოგვაჩნდეს იმ შემთხვევისთვისაც, თუ მსოფლიო განვითარების მსვლელობა გვაიძულებს ჩვენ ვიბრძოლოთ იზოლიაციის მორევში გაგდებული სოციალისტური რესპუბლიკის დაცვა არსებობისათვის. ასეთ პირობებში ჩვენ უპირველესად ყოვლისა უნდა მიმოვავლოთ თვალი იმას, თუ რას წარმოადგენს ჩვენს გარშემო მდებარე ქვეყნები.

როცა იმპერიალისტური ომი დაიწყო რევოლუციონურმა მარქსისტებმა მყის ვე დასვეს პროგნოზი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ მართულ ხოცვა-ჟლეტის აზრი არის ბრძოლა უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის მსოფლიოს გაყოფა განაწილებისათვის. ორმა წელიწადმა გაიარა უკვე მას შემდეგ, რაც ოფიციალურად ომი დასრულდა, ხელმოწერილია საზავო ხელშეკრულებანი, მაგრამ ძნელად თუ მოიპოვება დღეს ისეთი ფარისეველი, რომელმაც სთქვას, რომ ამ ჟამად ევროპა საზავო მდგომარეობაში იმყოფება. ეს, რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვამჩნევთ ევროპაში, რის შესახებაც ჩვენ გვაწვდის ცნობებს პრესა, რადიოდეპეშები და პასუხისმგებელ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების სიტყვები, ნათლად მოწმობს, რომ ფაქტიურად ომი არ გათავებულა, ჯარი მოძრაობს, საომარი ბრძანებანი ცხადდება, გარნიზონები იგზავნება ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, არც ერთი საზღვარი არ არის საბოლოოდ მტკიცედ დაწესებული. ჩვენ ვიმყოფებით ისეთ ხანაში, როცა ყოველ საათში, ყოველ წუთში, უნდა მოველოდეთ, რომ ძველი დასრულებული იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტა წარმოშობს, როგორც თავის ბუნებრივ გაგრძელებას, ახალს, კიდევ უფრო საშინელსა და კიდევ უფრო დამღუპველ იმპერიალისტურ ომს.

თუ ჩვენ განვიხილავთ იმ მდგომარეობას, რომელიც ამჟამათ შექმნილია ევროპაში, დავინახავთ, რომ მსხვილ იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა თავის მიზანს მიაღწიეს. მთელი ქვეყანა მათ ურთიერთშორის გაინაწილებს. მსოფლიო გაყოფილია ორ უთანასწორო ბანაკად: ერთი მხრით სდგას უზარმაზარი გამარჯვებული სახელმწიფონი: — ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, იაპონია.— მეორე მხრით მთელი კონგლომერატი კოლონიალური ქვეყნებისა, რომელიც კოლონიალურივი იყვნენ იმპერიალისტურ ომამდე, და ნახევრად-კოლონიალური ქვეყნები, რომელთაც მოიპოვეს დამოუკიდებელი არსებობა ომის მსვლელობაში, მაგრამ ნამდვილად წარმოადგენენ უბრალო სათამაშოს გამარჯვებულ სახელმწიფოების ხელში; დასასრულ, თითქოს დამოუკიდებელი ქვეყნები, ძველი კულტურული სამრეწველო ქვეყნები, როგორც მაგ. გერმანია და ავსტრია, მხოლოდ მეხარკე სახელმწიფოებია და ფაქტიურად იქცნენ გამარჯვებულ ბუმბერაზების საყმოთ. გერმანიისა და ავსტრიის მდგომარეობა სრულიად თავისებურია. მაგრამ შეუძლებელია მათი ჩათვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რადგან ორივე საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიურ მოღვაწეობაში და, კიდევ მეტი, შინაურ პოლიტიკაში ემორჩილება დირექტივებს, რომლებიც ტარდებიან ყოველდღიურად გამარჯვებულ ქვეყნებს ჯგუფის შინასანი მუშტის პირდაპირი მუქარით. ჩვენ გუშინ თუ გუშინწინ წავიკითხეთ, რომ გერმანიის დასავლეთ ოლქებში, სამრეწველო ევროპის შიგ ცენტრში, იქ სადაც თავს იყრის პროლეტარიატის მასები, სადაც არსებობს უდიდესი საქარხნო საფაბრიკო წარმოებანი, ხდება ოკუპაცია საფრანგეთის, ინგლისის და ბელგიის ჯარების მიერ. რამდენხანს გაგრძელდება ოკუპაცია არავინ იცის. წარმოშობს თუ არა იგი ახალ შეიარაღებულ შეტაკებას?—ეს არის შესაძლებელი, მაგრამ ამას თვითონ ვერვინ იკისრებს. განა არ გამოიწვევს ეს ოკუპაცია რეინის ნაპირებისა გერმანიისა და პოლონეთს შორის ურთიერთობის გამწვავებას ზემო სილეზიაში? მაგრამ ართმევენ რა პირდაპირ შეიარაღებული ძალით რეინის ნაპირების ქვანახშირის უკანასკნელ წყაროს, იძულებული იქნება თუ არა გერმანია ვინაიდან როგორც ამ უკანასკნელის სხვა პოლონეთის ბურჟუაზია თავგამოდებით იბრძვის ზემო სილეზიის ქვანახშირის უმდიდრეს აუზის დაპყრობისათვის, იძულებული იქნება თუ არა, გაცილებით მეტის სიხარბით მოიწადინოს სილეზიის შენარჩუნება,—ამ საწინასწარმეტყველება ჩვენ არ შეგვიძლია. ამგვარად, გერმანიის აღნიშნული მდგომარეობა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მდგომარეობად ჩაითვლა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

რომ ჩვენს განკარგულებაში მეტი დრო იყოს და საჭიროდ მიგვაჩნია ევროპის ქვეყნების დღევანდელ მდგომარეობის ეკონომიური ანალიზის მოხდენა, შეიძლებოდა მთელი იერარქიის შექმნა ურთიერთის დაქვემდებარებისა და დამორჩილებისა.

მაშინ ჩვენ დავინახავდით ამერიკას, რომელიც თითქოს სდგას ევროპის მიერ შემზადებულ სისხლისწვერო და სისხლიან არევ-დარევის გარეშე, რომ სინამდვილეში ამერიკამ მოიმკო პირველი ხარისხის ნაყოფი, და ფინანსიურ ლონ სძიებათა და მეომარ სახელმწიფოთა მარაგით, შესძლო დიდათ გასუქება იმ ხერხის საშუალებით, რომ იგი ომში ჩაერია მხოლოდ უკანასკნელ მომენტში. შემდეგ სდგას ინგლისი ყველაზე უფრო მდიდარი ქვეყანა ევროპის სახელმწიფოებში, რომელმაც ყველაზე უფრო მოხერხებულათ ჩაიგდო ხელში მთელი ევროპის სამეურნეო პოლიტიკის სადავეები; შემდეგ კიდევ საფრანგეთი, რომელიც თითქოს გამარჯვებულთა ბანაკში იმყოფება, როგორც ინგლისი, მაგრამ ამავე დროს იმდენათ გაკოტრებულია ეკონომიურად და დასუსტებული იმით, რომ როგორც ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკური ძალა, ვერავითარ შემთხვევაში ინგლისის გვერდში ვერ ამოუდგება. ამ სახით, ჩვენს წინაშე იშლება მთელი რიგი საფეხურებისა, როგორც გამარჯვებულთა, ისე დამარცხებულთა შორის; ეს საფეხურები აქცევს მსოფლიო ურთიერთობას ტყვიაწამლის უზარმაზარ საწყობად, რომელიც ყოველ წუთში განმზადილია ასაფეთქებლად. მაგრამ საერთოთ აზრი ზემო აღნიშნულ განაწილებისა მდგომარეობს იმაში, რომ უმდიდრეს სახელმწიფოთა ვიწრო, პატარა ჯგუფმა გაიყო ურთიერთ შორის მთელი მსოფლიო, დაიმორჩილა ყველა დანარჩენი ტერიტორიები და ევროპის უდიდესი კულტურული და სამრეწველო ქვეყნებიც კი, როგორც გერმანია და ავსტრია დაიქვემდებარა, დაიპყრეს თავის საყმოთ და მეხარკე ქვეყნებად.

რა გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან? უპირველესად ყოვლისა იგი გვიქადის ახალ იმპერიალისტურ ომს. ვინც აკვირდება მსოფლიო პოლიტიკას, მან იცის, რომ ახალი ომის ობიექტად მშვიდი ოკეანის ნაპირები ისახება; შეჯახება მზადდება ყოფილ მოკავშირეთა ინგლისსა და ამერიკას შორის, და ერთს მათგანს, სახელდობრ ინგლისს გვერდში ჰყავს იაპონია, ბრძოლა სწარმოებს აზიისათვის. აი ის პერსპექტივა, რომელიც გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ამ ახალ მსოფლიო ომში, ისე როგორც ძველში, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეინარჩუნებს თავს ნეიტრალობის პოზიციაზე, რომ ამ ორ უდიდეს ძალთა შეტაკება ყველა დანარჩენ ქვეყნებს გაახამს რომელიმე მებრძოლ მხარესთან ყოველგვარ ეკონომიურ პოლიტიკურ და ფინანსიურ კავშირის ჯაჭვებში. ამ კატასტროფას ჩვენ თავიდან აგვაცდენდა, და როგორც იმედი გვაქვს, აგვაცდენს კიდეც, პროლეტარიატის აჯანყება ან ერთს ან მეორე ქვეყანაში.

ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა გათვალისწინებულ ურთიერთობის პირობებში სრულიად თავისებურია. რომ გავსინჯოთ ობიექტიურად, მსოფლიო ისტორიული პროცესის თვალსაზრისით, ჩვენ დავინახავთ შემდეგს: რუსეთი შედიოდა კავშირში როგორც შემადგენელი ნაწილი სახელმწიფოთა მთელი სინდიკატისა. ამიტომ მას ქონდა უფლება, მეფის ბურჟუაზიულ სხვადასხვა ხელშეკრულებათა, საკრედიტო პირობების და სხვათა მიხედვით მიეღო მსოფლიო განაწილებისაგან თავისი ნაწილი. მაგრამ ისტორია შეტრიალდა. პროლეტარიატის აჯანყებამ გამოგლიჯა აღნიშნულ სინდიკატს საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენ დავრჩით სინდიკატის გარეშე და საბჭოთა რესპუბლიკა ერთის მხრით არ იღებს მონაწილეობას ტერიტორიების დაყოფაში, ხოლო მეორეს მხრით—სამი წლის ბრძოლით ჩვენ შევინარჩუნეთ უფლება დამოუკიდებელი არსებობისა, ვიხილავთ, რომ ვკითხოთ თუ რას წარმოადგენდა ობიექტიურად, ისტორიულად, ჩვენი ბრძოლა ინტერვენციისა და უცხო ძალების ჩვენ საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ, ადვილად გავიგებთ, რომ არსებითად საქმე ეხებოდა იმ საკითხს, გადიქცეოდა თუ არა საბჭოთა რესპუბლიკა, ეს უზარმაზარი ტერიტორია რამოდენიმე მილიონი მცხოვრებით, რომელიმე იმპერიალისტური ჯგუფის კოლონიად. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ დარჩებოდა რუსეთი ინგლისისა და ამერი-

# დღეს ნომერში:

26 მაისის დღესასწაულის წესრიგი.

რევკომის დეკრეტი მშრომელთა შორის ბინების სისწორით განაწილების შესახებ.

ინგლისელები ეხმარებიან ბერძნებს ქემალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანგორის სახ. საქმეთა მინისტრი თანამდებობიდან გადადგა.

---

კის ძოკავშირეთ ომში, თუ გამოვიდოდა ომიდან, იქნებოდა იგი გამარჯვებული ინგლისისა და ამერიკასთან ერთად თუ დამარცხებული მეორე კოალიციასთან,—ყველა ამ შემთხვევაში რუსეთი უსათუოდ უნდა გადაქცეულიყო კოლონიად, უდიდეს ამუ[illegible] ბაზრად რომელიმე იმპერიალისტური ქვეყნის საქონლის გასაღებისათვის. სამი წლის ბრძოლამ მოგვიტანა ჩვენ დამოუკიდებლობა. ეს არის ძირითადი ფაქტი.

ის, რაც ჩვენ ნამდვილად ბრძოლით მოვიპოვეთ, ის, რაც ჩვენ უკვე შეუძლებელია წაგვერთვას, ის, რაც ბრძოლით ავიღეთ [illegible] ისტორიულ პროცესში, არის შემდეგი: რუსეთმა საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, მუშათა და გლეხთა გმირული ბრძოლის წყალობით თავი დააღწია კოლონიალურ მდგომარეობას. ასეთი დამოუკიდებელი მდგომარეობის წყალობით ჩვენ შეძლება გვაქვს არსებულ ისტორიულ პროცესის სვლაში დავიჭიროთ ესა თუ ის პოზიცია. ამასთანავე ერთად, იცვლება ის ურთიერთობა, რომელიც ფეხს იდგამს ჩვენსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. სამი წლის წინად ჩვენ შორის იყო მხოლოდ ერთი სახის დამოკიდებულება: ბარიკადის ორ მხარეზე მებრძოლ ხალხისა, დამოკიდებულება ორი მოპირდაპირე ლაშქრისა, დამოკიდებულება უშუალოდ საომარი.

მაგრამ თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ამ ურთიერთობის თანდათანი განვითარების გვერდით, საბჭოთა რესპუბლიკასა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის იქმნებოდა და მწიფდებოდა ახალი ტიპის ურთიერთობა. ეს ურთიერთობა იწყება იმ მომენტიდან, როცა აქ, რუსეთში, გამოცხადდა ბატონი ბულლიტი და წინადადებას გვაძლევდა დაგვემყარებია ხელშეკრულობითი დამოკიდებულება მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. კერძოდ ინგლის-ამერიკასთან, კოლჩაკისა და დენიკინის ჯარების მიერ იმ დროს დაჭერილი ტერიტორიის ხელუხლებლობის საფუძვლებზე.

თქვენ გახსოვსთ წინადადებანი, შეერთებული პრინცების კუნძულების სახელთან. ჩვენ იქ გვეპატიჟებოდნენ ზოგიერთ პირობების გამოსარკვევად, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა არა მარტო ბრძოლის პირდაპირ შედეგებზე, არამედ სხვადასხვა ხელშეკრულობაზე ჩვენსა და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის. ამის შემდეგ, თქვენ იცით, ინგლისთან პირდაპირი მოლაპარაკების საშვალებით, რესპუბლიკის წარმომადგენლების ინგლისში გაგზავნის საშვალებით, ჩვენ ვცდილობდით ასეთი დამოკიდებულების დამყარებას. მაგრამ ეს მოლაპარაკება და დამოკიდებულება სწყდებოდა ხოლმე; პირველად იგი შეწყდა პოლონეთის ომის დროს, ხოლო შემდეგ საფრანგეთის მიერ ვრანგელის მთავრობის რუსეთის მთავრობად ცნობის გამო; და დასასრულ, ამ ჟამად, ჩვენ ვდგავართ პოლიტიკის მეორე მიმართულებით გადახრის პუნქტზე, როცა წმინდა საომარი ურთიერთობა ჩვენი თვალის წინ იცვლება ხელშეკრულებათა დადების დამოკიდებულებით.

ამ სახით, თვით ომის მსვლელობაში გამუდმებით ისახებოდა ის გზა, რომელიც ჩვენ საომარ მდგომარეობას კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეცვლიდა ხელშეკრულების ურთიერთობით. ნიშნავს თუ არა ეს გარემოება იმას, რომ ჩვენ დავადექით შერიგების გზას კაპიტალისტურ ქვეყნებთან? არც ერთ ბურჟუას მსოფლიო ბურჟუაზიის არც ერთ წარმომადგენელს, რომელიც ამა თუ იმ ფორმით აწარმოებს ჩვენთან მოლაპარაკებას, არა აქვს შერიგების იმედი. მით უფრო ჩვენ არ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ აწინდელი მოლაპარაკება და დამოკიდებულება მოგვცემს რაიმე შერიგებას. არა, ეს ურთიერთობა არის მხოლოდ ახალი ფორმა ბრძოლისა, კომუნიზმის განვითარებისა და გამტკიცების ბრძოლისა. თავის თავად ცხადია, ბრძოლის ეს ფორმა მეტად საძნელოა. არას დროს ჩვენ არ დაგვისახავს მიზნად კომუნისტური წყობილების განხორციელება ერთ იზოლიაციით გათვისებულ სახელმწიფოში. მაგრამ აღმოჩნდა ისეთი მდგომარეობა რომ ჩვენთვის აუცილებელია შევინარჩუნოთ კომუნისტური წყობილების საფუძველი, სოციალისტური სახელმწიფოს საფუძველი,—საბჭოთა პროლეტარული რესპუბლიკა,—რომელიც ყოველის მხრიდან გარს შემორტყმულია კაპიტალისტური ურთიერთობის ქსელით.

გადავსჭრით თუ არა ჩვენ ამ ამოცანას? მე ვფიქრობ, ეს საკითხი სქოლასტიურია; ამ სახით დასმული იგი უპასუხო დარჩება, რადგან პასუხის მიცემა შეუძლებელია. საკითხი უნდა დაისვას ასე: თანამედროვე ურთიერთობის პირობებში როგორ შევინარჩუნოთ საბჭოთა ხელისუფლება, როგორ შევინარჩუნოთ იმ მომენტამდე სანამ ამა თუ იმ ქვეყნის პროლეტარიატი დახმარების ხელს გამოგვიწვდის? ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ბურჟუაზიულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებს სურთ ჩვენთან სავაჭრო ურთიერთობის ჩამოგდება, რომ ისინი მზათ არიან ამისათვის, რომ ისინი გაჭირვებამ აიძულა მიემართათ ასეთ მეთოდებისათვის, რომ, დასასრულ, ეს არის შედეგი იმ პოლიტიკის დამარცხებისა, რომელსაც აღნიშნული სახელმწიფონი აწარმოებდნენ სამი წლის განმავლობაში შეიარაღებული მუშტით ჩვენი დამორჩილების მიზნით. მათ დახარჯეს ამისათვის მილიონები, ათეული და ასეული მილიონები მათ შესწირეს ამ ბოროტ მიზანს რამდენიმე ასეული და ათასეული ადამიანის სიცოცხლე; ცდა დამარცხდა, მათ იმედი არ გაუმართლდა. მაგრამ განა აიღეს ხელი მათ თავის ცდაზე? რასაკვირველია, არა და რა თქმა უნდა, ყოველ ხელსაყრელ მომენტში, იმ მომენტში, როცა ისინი ჩათვლიან მომწიფებულად და დასაშვებად შეთანხმების, პირობების ხელმოწერისა და ყიდვა-გაყიდვის პოლიტიკის უარყოფას, ამ მომენტში ისინი განაახლებენ ჩვენ წინააღმდეგ დღეს შეწყვეტილ ბრძოლის მეთოდებს.

იმ დროს, როდესაც ლონდონში ამხ. კრასინი ემზადება ხელშეკრულობის დასამტკიცებლად, პარიზში სწარმოებს დამფუძნებელი კრების ს.-რ. და კადეტების წევრთა სხდომები, სადაც არჩეულია საგანგებო დელეგაცია რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულების წინააღმდეგ მიღებულ რეზოლიუციის წარსადგენათ. უნდა მოვიგონოთ რომ ამ მომენტში იწყება მოძრაობა, ჩნდება კრონშტადტი; თქვენ ხედავთ, რომ კრონშტადტის ამბებს აქვთ ზოგიერთი კავშირი ჩვენ კაპიტალისტურ რკალთან და ეს გარემოება უნდა აღინუსხოს როცა ამბობენ, რომ ჩვენ დავდეგით სავაჭრო ვალდებულებათა და შეთანხმებათა ნიადაგზე ჩვენსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის. რასაკვირველია, ხელშეკრულებანი ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს, ისინი მეტად მძიმე პირობებში ინასკვებიან. და არ არის არავითარი მოსაზრება იმის წინააღმდეგ, თუ ვიტყვით, რომ ვიღაცის ხელი დაწყებული დამფუძნებელი კრებიდან პარიზში და დამთავრებული კრონშტადტით ცდილობს ჩაშალოს ის შეთანხმება ინგლისთან, რომელიც არის პირველი ნაბიჯი ამ საქმეში, და რომელსაც ჭეშმარიტად აქვს დიდი პოლიტიკური და სავაჭრო მნიშვნელობა.

(გაგრძელება იქნება).

---

# საბჭ. საქართველოში

გრუზკავროსტას დეპეშები

### თელავი.

16 მაისი. წინ წაწევა. თელავში უკვე დაარსდა და მოქმედება დაიწყო შემდეგმა პროფკავშირებმა: დაბალთა, სოფლის და ხე-ტყის მუშათა კომუნალურ მეურნეობის, საბჭოთა მოსამსახურეების, პედაგოგთა, სოციალისტურ კულტურის, საექიმო სასანიტარო, კოოპერატიულ დაწესებულებათა მოსამსახურეების, სასაკლაოს მუშათა და მოსამსახურეთა და სხვა. ყველა კავშირის გამგეობა არჩეულია და უკვე შეუდგნენ თავის მუშაობას.

### ქუთაისი.

(დეპეშა) 16 მაისი. კვირაობა. მაისის 15 გაიმართა კვირაობა, რომელშიც მონაწილეობა 500 კაცმა მიიღო. მონაწილენი შეიკრიბნენ კომპარტიის შენობას წინ და იქიდან ორკესტრით პარიზის კომუნის მოედანზე გაემგზავრენ, სადაც წარმოთქვეს სიტყვები ამხ. გახოკიამ და ამხ. ტალახაძემ. მონაწილენი სამ ჯგუფათ გაიყვნენ. პირველი ჯგუფი სასოფლო მეურნეობის სკოლის ბაღში მუშაობდა, მეორე შეშის დატვირთვაზე, მესამე რკინის გზის ლიანდაგის გასუფთავებაზე.

### მცხეთაში.

(დეპეშა) 16 მაისი. სააგიტაციო პუნქტები. მაისის 15 საგიტაციო პუნქტის შენობაში მოეწყო ცოცხალი გაზეთი და კონცერტი თბილისიდან ჩამოსულ მსახიობთა მონაწილეობით. საგიტაციო პუნქტის დარბაზი წითელი არმიელებით იყო სავსე. კონცერტმა კარგათ ჩაიარა და ინტერნაციონალით გათავდა.

### ფოთი.

დეპეშა. 16 მაისი. საგიტაციო მუშაობა. ფოთისა და მის რაიონში ინსტრუქტორთა მიერ გახსნილია სამკითხველოები, იგზავნება გაზეთები. გლეხები და მუშები, რომელთაც დიდი ხანი არ წაუკითხავთ გაზეთები, მასიურად მიდიან სამკითხველოებში.

### ბათომი.

პროფ. კავშ. სტატისტიკა. დროებითი ბიუროს ძიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, რომ მაისის 10-დე ბათომის საწარმოვო კავშირებში ითვლებოდა სულ 8,900 მუშა-მოსამსახურე. აქედან 1,800 რკ. გზელებია, 300 საბჭოთა მოსამსახურე, 400 სოციალისტური კულტურის, 450 კომუნალურ-მეურნეობის, 230—მეთამბაქოეთა და 110 სტამბის მუშა.

სტამბოლის მიმართულებით გაემგზავრა ნოხებით დატვირთული გემი „ჯორჯია“.

ბათომის „ჩეკას“ გადაწყვეტილებით დახვრიტეს წითელი არმიის დეზერტირი ოფიცერი ვასოცკი. ის უკანასკნელად მენშევიკების საგანგებო რაზმში მსახურებდა.

ბათომის საგარეო-ვაჭრობის განყოფილებამ შეიძინა სხვა და სხვა სავაჭრო ფირმებიდან შესყიდა ორმოცი მილიონ მანეთის მედიკამენტები და 150 მილიონი მანეთის თამბაქოს ქარხნის მექანიკური განყოფილება და სხვა. ამ განყოფილებასთან არსდება საქონლის მუზეუმი.

### კ ვ ი რ ა ო ბ ა.

ჩაქვში კვირას გაიმართა დიდი კვირაობა: კრეფდნენ ჩაის, კვირაობაში მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ათასმა მუშა მოსამსახურემ. მუშაობა ენერგიულად მიმდინარეობდა. წითელ არმიელები, ახალგაზრდა კომუნისტები და მუშები მუშაობის საუცხოვო მაგალითს იძლეოდნენ. მოაგროვეს სულ 10,000 გირვანქა ჩაი.

### ბათომის პორტის გადიდება.

ბათომი. 12 მაისი. აღძრულია საკითხი ბათომის პორტის გაგანივრებისა და რკინის გზის ლიანდაგთა გამრავლების შესახებ. ამასთანავე განზრახულია საბარგო და სახალხო სადგურის ცენტრიდან ქალაქის მოშორებით გადატანა. დამუშავებულია პროექტები ქობის და ანგისის კანალიზაციისა და დაშრობის შესახებ. ქობისა და ანგისის მცხოვრებლებმა პირობა დასდეს, რომ ისინი ამ პროექტების განსახორციელებლად უფასო მუშა ხელს მიაწოდებენ.

### ბათომი.

ბათომში არსებული ნობელის ყველა წარმოება გადარიცხულია აზერბეიჯანის ნავთის კომიტეტის უწყებაში. მის მისამართზე მოვიდა სამი სამარშრუტო მატარებელი სამანქანო ზეთით. ნავთი მიდის ნავთსადენის საშუალებით.

ჩამოვიდა სერებროვსკის მიერ ბათომ-კონსტანტინოპოლს შორის რეგულიარულ მიმოსვლისთვის დაქირავებული გემი „პოლონია“. გემმა ჩამოიტანა 45 ათასი ფუთი ტვირთი: ელექტრონის მოწყობილებანი, სახარინი, საპონი, ფეხსაცმელი, ტანისამოსი, კარბიტი, ძაფი, ქაღალდი და სხვ. საქონელი გაიგზავნება ბაქოს სამრეწველოებში, ჩამოვიდა გემი „სპარტა“, დატვირთული სახარინით და მანუფაქტურით. გემს ჩამოჰყვა 85 ქართველი ოფიცერი და ჯარის კაცი, რომელნიც მენშევიკურ მთავრობას გაჰყვნენ.

ბათომის ნავსადგურში კიდევ მოდიან ნავები და მოტორიანი გემები ანატოლიის ნავთსადგურებიდან, უფრო ფქვილით და ფორთოხლით დატვირთული. ნავსადგურიდან გავიდა გემი „ჩიტა და პალერმო“ კაკლის ხით დატვირთული.

### სახალხო ჯანმრთელობა.

ბათომი, 13 მაისი. ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. კუჯაძემ მიაქცია ყურადღება ბათომში პსიხიატრიულ საავადმყოფოსა და ფიზიკურ-ტერაპევტიულ ინსტიტუტის უქონლობას. ამასთანავე წინადადება აქვს მიცემული ბათომის ჯანმრთელობის კომისარიატს, რათა მან ეს დაწესებულებანი გახსნას.

— ამხ. კუჯაძის ცნობით კონსტანტინოპოლში შავი ჭირი გაჩენილა და ამისათვის აუცილებლათ საჭიროა ქალაქის სანიტარულ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს. უნდა გაიმართოს გასუფთავების კვირეები. მცხოვრებნი უნდა გაეცნონ ჰიგიენის მნიშვნელობას ლექციების საშუალებით, და ქალაქი რამოდენიმე სანიტარულ რაიონად უნდა გაიყოს.

### ტყის სიმდიდრე ბათომის ოლქში.

ბათომი. 14 მაისი. მთელს ოლქში ტყის რაიონი შეიცავს დაახლოვებით 20.000 დესეტინას, თითეულ დესეტინა ადგილზე საშეშე მოსავლის რაოდენობა უდრის 30 კუბ. საჟენს. მთელი რაოდენობის ერთი მეოთხედი რომ დამუშავდეს თანდათანობით, ყოველ წლიურათ შეიძლება მივიღოთ არა ნაკლებ 16.000 საჟენის. ტყით სწორი სარგებლობისათვის განზრახულია გზების გაყვანა ტყის რაიონებში. სატყეო-სიმდიდრის ნაწილობრივი სარგებლობაც დიდს განძსა და ღირებულებას მოგვცემს, რომლის გამოყენება ადგილობრივი მოთხოვნილებისათვის და საქონლის გაცვლა-გამოცვლის მიზნით თამამათ შესაძლებელი იქნება.

ბათომის ოლქში ნატანებსა და რიონს შუა დამზადებულია დიდძალი საექსპორტო მასალა, უმთავრესათ კაკლის ხისა.

### მიმართვა ყველა პროფკავშირებს.

ბათომი. 15 მაისი. დროებით ბიუროს პრეზიდიუმმა მიმართა ყველა პროფკავშირებს შემდეგი განცხადებით: წარმოებითი ეკონომიურ ხასიათის ძლიერ მნიშვნელოვან საკითხების და ბათომის ოლქის პროფკავშირის წევრების ნივთიერათ მომარაგების მიზნით ერთგვარი პროფკავშირების მიზან-შეწონილ მუშაობისათვის ეკონომიური, წარმოებითი და საერთოდ მომარაგების დარგები,—ყველა პროფკავშირებმა წინადადება ეძლევათ თავის ცენტრალურ გამგეობასთან დაუყონებლივ შეჰქმნან ეკონომიური განყოფილებანი. ეკონომიური განყოფილებანი შედგება [illegible] 1) საორგანიზაციო-წარმოებითი, 2) [illegible] შათა ძალების გამომყენებელი და 3) ნივთიერათ მომარაგების საერთო მთლიან ფორმის დასამყარებლათ და მომავალ მუშაობის შესათანხმებლათ, ეკონომიურ განყოფილებათა ორგანიზაცია უნდა მოეწყოს პროფკავშირის პრეზიდიუმთან არსებულ ეკონომიურ განყოფილების ჩვენებით და ინსტრუქციით.

---

# საბჭოთა რუსეთში

გრუზკავროსტას დეპეშები

### მრეწველობის აღდგენა.

პეტერბურგი. 11 მაისი (რადიო). გაიხსნა ეკონომიურ თათბირის გაფართოებული კრება ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად. ახლო მომავალში მუშაობა დაიწყება მავთულის სახელ. ფაბრიკებში. უკანასკნელ ხანებში ბლომად ჩამოდიან ის მუშები, რომელნიც 1918 და 1919 წლებში ვოლგისაკენ წავიდნენ.

### როგორ უცხოვრიათ ჩვენს ტყვეებს.

როსტოვი. 11 მაისი. (დეპ.) ოდესაში ჩამოსული სახელდობ ტყვეები ამზადებენ დიდს მასალებს, სადაც ნათლად იქნება დასურათხატებული რუს ჯარისკაცების უკიდურესათ გაჭირვებული მდგომარეობა, გერმანიასა, ავსტრიასა, ოსმალეთისა და ბულგარეთში ტყვეობის დროს. (კავროსტა).

### მურა ქვანახშირი

როსტოვი 11 მაისი. (დეპეშ.) კიევს ახლო ვიშგოროდში მუშავდება მურა ქვანახშირი. უმთავრესი ფენა შეიცავს 50 ფუთს. ცდამ საუცხოვო შედეგი მოგვცა. ნახშირი თითქმის ალით იწვის. ნახშირს გოგირდი ძალიან ნაკლები ურევია. ასუფთავებენ და დეტკეცილს ეზიდებიან გუმბზე.

### ყუბანის ნავთი.

როსტოვი. 11 მაისი. (დეპ.) ა. წ. პირველი სამი თვის განმავლობაში ყუბანის ოლქში 700 ათასი ფუთი ნავთი ამოიღეს. მოვარაუდევია, რომ მთელი წლის განმავლობაში 3 მილიონ ფუთს ამოიღებენ.

---

# საზღვარ გარეთ

გრუზკავროსტას დეპეშები.

### საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა.

ბერლინი. 17 მაისი. (რადიო) საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის პირველი კონგრესი, კაშენის და ლერმის თავმჯდომარეობით მაისის 15 დაიწყო. ფროსარის მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას 120,000 წევრზე მეტი ჰყავს. ყრილობამ რუსეთის რევოლიუციას და 3 ინტერნაციონალს წრფელი მილოცვა გაუგზავნა.

### ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მე-3 ყრილობა.

ოდესა, 17 მაისი (რადიო). სოფიაში ბულგარეთის კომუნისტურ პარტიის მე 3 ყრილობა დაიწყო.

1-ლ მაისამდის პარტიას 40,000 წევრი ჰყავდა (კავროსტა).

### ახალგაზრდათა კავშირის ყრილობა.

ჰოლსინგფორსი(?). 18 მაისი. (რადიო). მაისის 14—16 ახალგაზრდათა კავშირის ყრილობა დაიწყო. ამ კავშირში 25 ათასი წევრზე მეტი ირიცხება. ყრილობამ ერთხმად დაადგინა, კავშირი იწოდებოდეს დღეიდან შვეციის კომუნისტ ახალგაზრდათა კავშირათ. ყრილობამ აგრეთვე მიიღო კომუნისტური პროგრამა და დაადგინა მიეხმაროს კომუნისტურ პარტიას (კავროსტა).

### იტალიის არჩევნების შედეგი

მილანი. 13 მაისი. (რადიო) გამოქვეყნდა იტალიის არჩევნების შედეგი. წინასწარ ცნობების მიხედვით არჩეულია 19 სოციალისტი, 12 კომუნისტი, 80 სახალხო პარტიის წევრი, 35 ნაციონალისტი ფაშისტები. 7 რესპუბლიკანელი, 12 დ მოუკიდებელი, 5 გერმანული პარტიის. 1 სლავიანურ პარტიისა და 284 ნაციონალური ბლოკის, ამ არჩევნებში სახალხო პარტიამ ბევრი ადგილი დაკარგა. ხუთშაბათისთვის დამთავრდება საარჩევნო ხმების დათვლა.

### საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.

ლიონი, 19 მაისი. (რადიო). ხუთშაბათს განახლდა საფრანგეთის პალატის მუშაობა, პირველად გაირჩევა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის და ფინანსიური მდგომარეობის საკითხები. ფრანგული გაზეთების აზრით ოპოზიცია სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს მთავრობას და მთავრობის თავმჯდომარე იძულებული იქნება დასვას ნდობის საკითხი.

### ინგლისელების დახმარება ბერძნებს.

ბათომი. 16 მაისი. (ტელეგ.). ანგორიდან იუწყებიან, რომ ინგლისელები ბერძნებს ეხმარებიან. მათ საბერძნეთის ჯარისა და ყუმბარათა ბრბოს ანატოლიის ნაპირზე გადმოსხმას ხელი შეუწყვეს.

### ბექირ-სამი-ბეის გადადგომა.

ბათომი. 16 მაისი. (ტელეგ.) ანგორიდან იუწყებიან საგარეო საქმეთა მინისტრ ბექირ სამი-ბეის გადადგომის შესახებ. გადადგომა გამოწვეულია ბეკირსა და საფრანგეთს შორის დადებულ ხელშეკრულების გამო, რომლისათვის ბეკირს ანგორის დიდ ეროვნულ კრებისაგან სათანადო მინდობილობა არ ჰქონდა. ბეკირ-სამი-ბეის მაგიერ ახმედ მუხტარს ასახელებენ.

### არეულობა ეგვიპტეში.

ბათომი 19 მაისი. (დეპეშა). ანგორიდან იუწყებიან, რომ ალექსანდრიაში და კაიროში გამოცხადდა საყოველთაო გაფიცვა. მცხოვრებთა და პოლიციელებს შორის შეტაკებებია.

---

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დეკრეტი № 38.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა. მშრომელთა შორის ბინების სისწორით განაწილების შესახებ.

მშრომელთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათ შორის ბინების სისწორით განაწილების მიზნით, საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველგვარი ზომები ბინების აღრიცხვა განაწილების შესახებ უნდა შემუშავებულ და გატარებულ იქნეს ცხოვრებაში კომუნალური განყოფილებების მიერ, ადგილობრივი რევკომების ხელმძღვანელობით, შინაგან საქმეთა კომისარიატის მიერ დამტკიცებული დებულების თანახმად.

შენიშვნა: ა) ამ დეკრეტით გათვალისწინებული ბინების მოქალაქეთა შორის სწორით განაწილება შევსების საშუალებით ვრცელდება მხოლოდ მთავარ ქალაქებზე: ტფილისსა, ქუთაისსა, ბათომსა და ფოთზე.

შენიშვნა: ბ) სხვა სამაზრო ქალაქებში ეს დეკრეტი შეიძლება განხორციელდეს შინაგან საქმეთა კომისარიატის დასტურით, განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ ადგილობრივი სათანადო შუამდგომლობას აღძრავს.

შენიშვნა: გ) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან არსებულ მუშების პირობების გაუმჯობესების კომისია შედის მთლიანად ცენტრალურ საბინაო განყოფილების შემადგენლობაში და ემორჩილება უკანასკნელს.

2. მოქალაქეთა გადასახლება ერთ ბინიდან მეორეში შეიძლება მოხდეს უკიდურეს საჭიროების გამო საბინაო განყოფილების დასაბუთებული დადგენილებითა და ადგილობრივ კომუნალურ განყოფილების დასტურით.

შენიშვნა: გადასახლების დროს მოქალაქეს უნდა მიეცეს სხვა შესაფერი ბინა, ბარგის გადასაზიდავი საშუალება და გადასახლებისათვის ვადა.

3. მცხოვრებლების მასიური გადასახლება, თუ ამას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს ხდება შინაგან საქმეთა კომისარის შუამდგომლობით და საქართველოს რევკომის დასტურით; ამ შემთხვევებში ადგილობრივი კომუნალური განყოფილება დასაბუთებულ შუამდგომლობას უდგენს შინაგან საქმეთა კომისარიატს.

4. მშრომელთა შორის ბინების სისწორით განაწილებისათვის საბინაო განყოფილება ზომებს ღებულობს, რათა სამართლიანად და მტკიცედ იქნეს გატარებული კერძო ბინებისა და დაწესებულებათა შევსება და აგრეთვე იმ ბინების განთავისუფლება, რომელიც უჭირავთ არა საცხოვრებელი მიზნით.

5. საბინაო განყოფილება აწესებს ერთი ადამიანისათვის საჭირო ბინის ზომას; ზომა უნდა იქნეს დამტკიცებული ადგილობრივი რევკომის მიერ საექ. მოსასანიტარო ინსპექციასთან შეთანხმებით.

შენიშვნა: ა) ბინების შევსების დროს ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რამდენად შესაძლებელია ერთ ბინაში ანუ

## სახელმწიფო გამომცემლობა

მთელ ასი წლის განმავლობაში საქართველოს ერთხელაც არ უგრძვნია ისეთი შემოქმედების წყურვილი, როგორც უკანასკნელ ოთხ წელში, როცა რუსეთის რევოლიუციამ მის წინ გადაშალა თავისუფლების და დამოუკიდებლობის დიდი პერსპექტივები. ერმა იგრძნო უხვი ნება სიცოცხლის და მისი დახსნილი ორგანიზმი გამრთელდა, რაც აუცილებლათ შემოქმედებაში უნდა გადასულიყო. უნდა ითქვას მართალი, რომ დღემდის არავინ არ ცდილა ამ საქმის ორგანიზაცია მოეწყო, თუ რამე გაკეთდა აქ მხოლოდ ამ ეროვნულ სტიქიის წყალობით. ამით აიხსნება ისიც, მიუხედავათ იმისა, რომ თბილისი იყო საქართველოს ცენტრი, წიგნების გამომცემლობა პირველათ ქუთაისში მოეწყო, ქუთაისი აპირებდა საქართველოს ლაიპციგათ გადაქცევას მაგრამ შემდეგ აშკარა გახდა, რომ არიან ისეთი გარდაუვალი პირობები, რომელთაც ვერ უძლებს ვერავითარი სტიქია და ქუთაისი თანდათან ამოიწურა, თუმცა უნდა ითქვას, და ეს არ იქნება გიპერბოლა, რომ საქართველომ ამ ოთხ წელიწადში წიგნის ბაზარზე გამოიტანა იმდენი გამოცემა, რამდენიც ერთ საუკუნეს არ მიუცია.

სახელმწიფო სისტემის უქონლობამ გამოიწვია, რომ უკანასკნელ დროს თითქმის შესწყდა გამომცემლობა; კერძო ხალხის ხელში გამოცემლობა გახდა სპეკულიაციის საგნათ, ამაზე ბევრ ავტორიტეტულ დაწესებულებას მიუქცევია თავის დროზე ყურადღება; წიგნებით სპეკულიანტები ექსპლოატაციას ეწეოდენ მკითხველ საზოგადოების და ავტორებისას და ამას ხშირათ აღმაშფოთებელი ხასიათი ჰქონდა, ამას მოჰყვა ის, რომ ყველაზე უფრო დაინტერესებული კატეგორია მწერლების ფაქტიურათ მოსწყდა გამომცემლობასა და აქედან დაიბადა კიდეც კრიზისი.

სრულიად საქართველოს მწერლებისა და მასწავლებელთა კავშირები მიაქცევდენ თავის დროზე მთავრობის ყურადღებას ამ საგანზე. დღესაც საქართველოში დიდია მასსების მხრივ ინტერესი კულტურისა და გლეხობისადმი საკმაო იყო ბაზარზე გამოსულიყო წიგნი, რომ ერთ თვეში იყიდებოდა, მიუხედავათ სიძვირისა, აქედან ცხადია რამდენათ დაინტერესებული იქნება ხალხი დღეს სახელმწიფო გამომცემლობით.

რუსულ კომუნისტურ პრესაში საქართველოში დაისვა კიდეც ეს საკითხი. „Правда Грузии“-აში მოთავსებულია წერილი ს. რუდაკოვის, რომელიც შეიცავს გამომცემლობის კრიტიკას, უმთავრესათ გრუკავროსტასი.

მართლაც ეს საკითხი ჯერ სულ არ არის მოგვარებული. გაუგებრობით აიხსნება ის, რომ მთელი გამომცემლობა სახელმწიფოსი ხელში ჩაუვარდა ისეთ დაწესებულებას, როგორც გრუკავროსტაა, რომელსაც თავის სპეციალური ინფორმაციის მიზნები უნდა ჰქონდეს და რომელიც თავისთავათ ვერ გაუძლებს სახელმწიფო გამომცემლობის მთელ აპარატს. ს. რუდაკოვი ეხება საკითხის პირველ ნაწილს, რამდენათ ასრულებს გრუკავროსტა თავის სპეციალურ დანიშნულებას, მეორე საკითხი მხოლოდ გაკვრით არის ნახსენები, მაშინ, როდესაც ცენტრი სწორედ აქ უნდა იყოს.

ჩვენ ვეთანხმებით ავტორს, რომ გრუკავროსტა მართლაც მარტო რუსთაველის პროსპექტს უწევს აგიტაციას. აუარებელი ფურცლები იხარჯება კედლის გაზეთებზე, სადაც შეკრებილია მართლაც საუკეთო სპეცები, აუარებელი პლაკატები ჭრელებენ იმავე პროსპექტს, მაგრამ ამ პლაკატებს ათვალიერებენ მარტო სპეკულიანტები ღიმილით, რომელნიც უმთავრესათ სწვდებიან ამ პროსპექტს. ფართო მუშათა მასსები და უმთავრესათ კი მთელი საქართველო ამ ქაღალდის ვაკხანალიის დროს თითქო ჭურებში სხედან.

ეს საკითხი ალბად პასუხისმგებელ კომუნისტების ყურადღებას მიიქცევს და მეტ კონტროლის ქვეშ დადგება. ჩვენი მიზანია ყურადღება მიექცეს იმ საგანს, რომელიც ქართულ მწერლობას ეხება ძლიერ ძლიერ: ეს არის სახელმწიფო გამომცემლობა. ჩვენ წინ დევს ანგარიში სახელმწიფო გამომცემლობის მოქმედების რუსეთში 1920 წლის პირველ დეკემბრამდი. ამ ანგარიშიდან სჩანს, რა საშინელ კრიზისში ჩაიდგარა გამომცემლობა რუსეთში, სანამ მისი ორგანიზაცია მოეწყობოდა სახელმწიფოებრივ მაშტაბით. და როგორი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეში გამოცდილებას. თავის დროზე ამ საკითხს ჩვენ უფრო ფართოდ დავსვამთ ქართულ პრესაში, მაგრამ ჯერჯერობით აშკარაა, რომ სახელმწიფო გამომცემლობას ვერ გაუძლებს ის ორგანო, რომელსაც თავისი პირდაპირი დანიშნულება ვერ აუსრულებია, როგორიც „გრუკავროსტაა“.

აქედან აშკარაა, რომ ამ საკითხს უნდა მიექცეს დიდი ყურადღება მთავრობის, რომ თავი დაეხსნას ლეგიონს იქნას ის შეცდომა, რომელსაც შეუძლია სახელმწიფო გამომცემლობა კატასტროფამდე მიიყვანოს, და ის, ვინც ამ საქმეს შეისწავლის დღეს მიხვდება, რომ საფრთხე ძალიან ახლოს არის, ყოველი დღე დაგვიანების კიდევ უფრო მეტ შიშში აგდებს მას. სახელმწიფო გამომცემლობა უნდა გამოეყოს ცალკე. შეიძლება ის პოლიტიკურათ დაექვემდებაროს, რომელიმე დაწესებულებას, ყველაზე უფრო სამართლიანათ პოლიტიკურ განათლების სექტორს სახალხო განათლების კომისარიატთან, მაგრამ ორგანიზაციის მოწყობის დროს უნდა გამოყენებულ იქნას ის ელემენტი, რომელიც უმთავრესად დაინტერესებულია ამ საკითხით. ამ შემთხვევაში უპირველესათ ქართველი მწერლები. რაც მალე მოგვარდება ეს საქმე მით უფრო მეტს მოიგებს სახელმწიფო გამომცემლობა და ქართველი ხალხი.

ტიციან ტაბიძე.

---

ოთახში თანამდგმურთა მოთავსება.

**შენიშვნა:** ბ) ბინების შევსების დროს ანგარიშში არ უნდა იქნეს მიღებული ბნელი ოთახები, დერეფნები, გასავლელი ოთახები და სხვა საცხოვრებლად უვარგისი სადგომი.

6. ბინების შევსების დროს მოქალაქეთ უფლება უნდა მიეცეთ, ორი კვირის განმავლობაში თანამდგმურის გამოძებნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში საბინაო განყოფილებას ნება აქვს შეავსოს ბინა იძულებით.

7. დამატებითი ბინა ან ცალკე ოთახი მიეცემა თანახმად ექიმის დასკვნისა ისეთ ავადმყოფებს, რომელნიც საჭიროებენ განცალკევებულ ყოფნას, მაგ.: ჭლექიანებს, ათაშანგიანებს, სულით ავადმყოფებს და სხვა.

8. დამატებითი ბინა შეიძლება მიეცეს აგრეთვე მშრომელთა ჯგუფს ან ცალკე პირებს, თუ მათი პროფესიონალური მოღვაწეობა ამას მოითხოვს.

9. თუ სადგომში იმყოფება ავადმყოფი, მისი შევსება შეიძლება მხოლოდ ავადმყოფის მორჩენის შემდეგ.

10. მოქალაქე, რომელიც თავის სადგომს ინახავს უწესოდ, არ იცავს სანიტარულ მოთხოვნილებას, არღვევს შინაგან წესრიგს, დაისჯება დატუსაღებით ერთი თვის ვადამდე.

11. ზემოხსენებულ ზომების ცხოვრებაში გატარება ევალება საბინაო განყოფილებას.

12. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯ. **ფ. მახარაძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **ქვირკველია.**

რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. მაისის 23.

ტფილისი—სასახლე.

## საჭიროა განმარტება

**26 მაისის შესახებ.**

გაზ. „მუშურ. ხმის“ 12 ნომერში, გაზეთის მეპირე არჩევს ჩემ წერილს 26 მაისის შესახებ, („კომუნისტის“ 32 №) ის სწერს: „ამ დღეს“ (26 მაისის 1918 წ. გ. მ.) „საქართველოს აეხსნა ეროვნული მონობის ბორკილები და იგი გადაიქცა თავისუფალ და დამოუკიდებელ ქვეყნად, რომლის მუშათა კლასი ამიერიდან მოწოდებულია თავისი თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში“ თ. ისტორიის ცოდნაც სწორედ ასეთი უნდა! 26 მაისს 1918 წელს რუსეთში გამარჯვებული მუშათა კლასი ედგა სათავეში სახელმწიფოს. იმ დროს ისეთი ვე პარტია იყო რუსეთის სათავეში და არის დღემდე, როგორიც დღეს სოციალისტურ საქართველოს სათავეშია. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ოქტომბრის გადატრიალების მეორე დღესვე გამოსცა დეკრეტი რითაც ყველა ერებს, მიენიჭათ სრული ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, რუსეთის ძლევამოსილმა პროლეტარულმა რევოლიუციამ განათავისუფლა სხვა ერებთან ერთად ქართველი ერიც რუსეთის ბურჟუაზიის უღლიდან. დამოუწოდა ყველა განთავისუფლებულ ერებს ძმურათ ეცხოვრათ და ერთი მუშური ფრონტი არ დაერღვიათ. 1918 წლის 26 მაისს ვისი „ბორკილებიდან“ იქნა განთავისუფლებული, ვეკითხები გაზ. „მუშრალთა ხმას“, ქართველი ერი, კომუნისტებისა და რუსეთის პროლეტარიატის „ბორკილებისაგან“ არა? 1918 წელს, 26 მაისს მენშევიკებმა (რომელთა კრიტიკა თქვენგან ძალიან იშვიათად ისმის) საქართველოს ნაციონალ დემოკრატების დავლურით, თქვენთან ერთად საქართველოს მუშათა კლასი, ქართველი ერი მოსწყვიტეს რუსეთის პროლეტარიატის ერთ რევოლ უციონურ ოჯახს და ევროპის ბურჟუაზიის გადაუსროლეს შესაჭმელათ. შეიძლება თქვენა სთქვათ, რომ დასავლეთის ბურჟუაზიას ჩვენი ერი არ შეუჭამია, ჩვენ შევინარჩუნეთ ტერიტორია, ენა და სხვა, მაგრამ თუ ეს დარჩა ანტანტის აქ ბატონობის დროს, რა თქმა უნდა ისეც რუსეთის პროლეტარიატის საშუალებით, რომელმაც თავისი 3 ნ ხ. წლის მედგარი ბრძოლით შეინარჩუნა თავისი თავიც, რევოლიუციაც და განამტკიცა წვრილ ერების თავისუფლებაც. ანტანტას რომ გაემარჯვა რუსეთის საბჭოთა მთავრობაზე, ეჭვს გარეშეა არც რუსეთის თავისუფლება დარჩებოდა და არც საქართველოს თავისუფლების სახსენებელი. თუ თქვენი სოციალისტური და სინდიკალისტური აზროვნება ისე შორს მიდის, რომ დასავლეთის ბურჟუაზიისაგან მოელოდით განთავისუფლებას! „სოციალისტებს“ კი ასეთი აზრი.. შეიძლება მხოლოდ მენშევიკებს და მათ მზგავსებს მიეცეს მონოპოლიათ. მხოლოდ „მშრომელი ხალხის“ ის „რჩეული ნაწილი“, რომელზედაც მაშვრალების გაზეთი სწერს, ასეთი აზრებისაგან ღმერთმა დაიფაროს... აწი მაინც.

მართალია 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა დამოუკიდებლობა, მაგრამ არავითარი დამოუკიდებლობა ჩვენს ერს არ მიუღია. ჩვენ ლითონ სიტყვებს კი არ ვაფასებთ, არამედ ფაქტს, სინამდვილეს და შინაარს. როდის მიიღო ნამდვილი დამოუკიდებლობის სახე საქართველოს ერმა? სწორედ სოციალისტური რევოლიუციით 25 თებერვალს 1921 წ. გამარჯვებულმა რუსეთის პროლეტარულმა წითელმა ჯარმა საქართველოს მშრომელ ხალხს დაეხმარა და ეს უკანასკნელი კონტრ რევოლიუციის ბუდეც გაწმენდილ იქნა, ბურჟუაზიის ბატონობისაგან! ვისაც გულწრფელობა აქვს და უკარგავს, ეგ სიმართლე ასე უნდა აღიაროს! საუბედუროთ ჩვენი სინდიკალისტები, ფედერალისტები და მათი ამყოლ დამყოლნი ჯერ კიდევ ისე შორს არიან სოციალისტურ რევოლიუციის სამართლიანათ გაგებასთან, როგორც 26 მაისის ნამდვილ სახესთან და პროლეტარულ შეგნებასთან. ეროვნული პრობლემა საბოლოოდ იჭრება მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვებით!.. უამისოთ ყოველგვარი ეროვნული დამოუკიდებლობა ფიქციაა. ეს საქართველოს ისტორიის ცოდნა კი არა, უბრალო სოციალიზმის ანბანი ვისაც ესმის, მისთვისაც გასაგებია. მე ვეტყოდი ამხ. „მაშვრალთა ხმებს“, რომ სოციალიზმით ფიცი, მარტო ქაღალდზე კი არ კმარა, მისი ნამდვილი გაგება საქმით უნდა დაამტკიცოთ.

მე ვიმედოვნებ, რომ ეს ამხანაგები ბოლოს და ბოლოს დაადგებიან კომუნისტურ გზას.

**გ. მუჯვანაძე.**

## 26 მაისისთვის

### ცერემონიალის მსვლელობა

დილის 9 საათისთვის პროფ-ორგანიზაციების ლაშქარი შეიკრიბება თავ თავიანთ რაიონებში შემდეგი წესით: კარნავალი (პირველი ჯგუფი), სამხედრო ნაწილები № 1, რკინის გზელები № 2 (პიროგოვის ქუჩა) მელითონე და ელექტრიკები № 3 (ტატიანის ქუჩა), ტრანსპორტის მუშები № 4 (ქსენევის ქ.), მეთამბაქოენი № 5 (კიროჩნი ქუჩა), მეტყავეები № 6 (პეტროგრადის ქუჩა), კომუნმეურნენი, ტრამვაის ქუჩა № 7 (ბელგიის ქუჩა.) მკითველები № 8 (რევუტოვის ქ.), საალმშენებლოს მუშები № 9. (კოჩუბეევის ქ.) ხე ტყის მომუშავენი № 10, (დიდი მთავრის ქ.), ჯარის ნაწილები მეორე ჯგუფი (№ 10) კარლ მარქსის ხიდი (ყოფილი ვარანცოვ სა), ნესის მომუშავენი № 11 (ალექსანდროვის ბაღთან), მიწისა და ტყის მომუშავენი № 12 (ვანქის ქუჩა), მილიცია № 13 (დიდი ვანქის ქ.), ოჯახში მოსამსახურენი № 14. შინა მრეწველი № 15, მეეტლები № 16, მზარეულები და საზოგადოებრივ გამოკვების მოსამსახურენი № 17. (ვანქისა და პუშკ. ქ. შუა) მბეჭდავები № 18 (პუშ. ქ.), სახალხო კავშირის მოსამსახურეები № 19 (პუშკ. ქ.), სამხედრო ნაწილები (მე 3 ჯგუფი), № 20 (სოლოლაკისა და სასახ. ქ.), მედიკო სანიტარული მუშაკნი № 21, ქიმიკოსები № 22 (სასახ. წინ), საბჭოთა მოსამსახურეები № 23 (სიონის წინ), რაბისი № 24 (მუშათა სასახლის პირდაპირ), ახალგაზრდა კომუნისტები № 25 (მათი სასახლის წინ), მოწაფეები № 26 (ტარტოს წინ), ცაკა, თბილისის კომიტეტი და მე 4 რაიკომი № 27 (საოპერო თეატრის წინ), საქართველოს რევკომი, ქალაქის რევკომი, არმიის შტაბი, პროფკავშირების საბჭო თავს იყრიან თავისუფლების ძეგლთან თავისუფლების მოედანზე (ყოფილი ერევნის).

კარნავალი დაიძვრის პლეხანოვის პროსპექტით და კარლ მარქსის ხიდით და მოედნით, მუშათა-ორგანიზაციების თანხლებით გაემართება თავისუფლების მოედნისაკენ, საიდანაც ის დაიძვრება და გასწევს რუსთაველის პროსპექტისკენ. აქ გაიმართება შევარდენის ვარჯიშობა. მაისის 26 დაიდგმება კარლ მარქსის, საქართველოს თავისუფლების და შოთა რუსთაველის ძეგლები.

**26 მაისის უქმობა: შრომის სახ. კომისარიატისაგან:** 26 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, მუშაობა რესპუბლიკის დაწესებულებებში არ იწარმოებს.

### დღესასწაულის მომწყობ ცენტრალურ კომისიაში.

26 მაისის დღესასწაულის მომწყობ ცენტრალურ კომისიის სხდომაზე მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვით ამ დღეს თეატრის ბილეთები შემდეგ ნაირად იქნება განაწილებული. 25 პროც. ქართულ და რუსულ წითელ ლაშქარს, 25 პროც. მოქალაქისათვის (უფასოდ) 50 პროც. გადაეცემა პროფკავშირების და სხვა ორგანიზაციების განკარგულებაში.

— დადგენილია დაევალოს ყველა სახლის კომიტეტებს, სახლების გამგეთ და პატრონებს, მიიღონ ზომები სახლების მოსართავათ გირლიანდებით, და ბაირაღებით, ხალიჩებით და სხ.

— 26 მაისს მოხდება თბილისის ყველა სატრანსპორტო საშუალებათა მობილიზაცია.

### თეზისები 26 მაისისათვის.

1) 26—მაისს გამოცხადდა საქართველოს ხალხის დამოუკიდებლობის იდეია.

2) 26—მაისი შედეგია ოქტომბრის რევოლიუციისა.

3) 26—მაისი მენშევიკების პარტიამ გამოიყენა საქართველოს მშრომელთა მასის დამონებ სათვის იმპერიალისტურ ანტანტას, მენშევიკების და ბურჟუაზიის ხალხის უფლების გასაძლიერებლად.

4) 26—მაისს ჩვენ კომუნისტები ვუქმობთ, როგორც ნამდვილ დამოუკიდებელ დღესასწაულს საქართველოს მშრომელთა მასის განთავისუფლებისას მენშევიკების და ევროპის კაპიტალიზმისაგან.

### ლოზუნგები.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს მუშათა და გლეხთა დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს პატარა ერების განმათავისუფლებელ მუშათა და გლეხთა რუსეთის ძლიერ წითელ არმიას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციას.

გაუმარჯოს III კომუნისტურ ინტერნაციონალს.

---

## ქრონიკა

**26 მაისის უქმობა.** შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულების თანახმად, 26 მაისს რესპუბლიკის დაწესებულებებში მეცადინეობა არ იწარმოებს.

**მილიციის რევიზია.** მუშა-გლეხ. მილიციის მთავარი სამმართველო შეუდგა თბილისის საქალაქ. მუშ.-გლეხ. მილიციის სამმართველოს და საუბნო კომისარიატების რევიზიას.

— გორის მაზრის მუშა.-გლეხ. მილიციის რევიზია მთავრდება. სამაზრო მილიციის უფროსი და მთელი რიგი კომისრების დათხოვნილნი არიან სამსახურიდან უმოქმედობისათვის.

**ს. ს. ს. რ. უმაღლეს რევ. ტრიბუნალის განცხადება.** ს. ს. ს. რ. რე პ. უმაღლეს რევ. ტრიბუნალი ამით აცხადებს, რომ იმ ტუსაღების, ვინც კი ითვლება მის სახელზე, ნახვის ნება რთვის მიღება შეიძლება ტრიბუნალის კანცელარიაში სამშაბათობითა და შაბათობით 12—3 საათამდე.

**საქონლის გაცვლა.** სახ. კომ. საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ საქართველოში მყოფ იტალიის წარმომადგენლისაგ ნ. ფირმა. ტ. თ. პალატის სახელზე ბათუმში მოვიდა მრავალი იტალიური საქონლით დატვირთული გემი „ლოსარ მოლენ“.

**სასოფლო-სამეურნეო სამკურნალო მასალა.** სასოფლო სამეურნეო სამკურნალო მასალები (20 ათასამდე ფუთი გოგირდი და ათასამდე შაბი აბანი) მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასცა სასურსათო სახალხო კომისარიატს სურსათზე გადასაცვლელად.

**სახალხო სასურსათო კომისარიატი.** სასურსათო სახალხო კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა სთხოვოს საქართველოს რევკომს გამოსცეს განკარგულება, რომ არც ერთს ორგანიზაციას არ ექნეს ნება მიათავსოს პრესაში ცნობები სურსათის მოძრაობის და მოსვლის შესახებ სასურსათო კომისარიატის ნებადაურთველად.

**მეღვინეობა.** სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად შეიმუშავა მევენახეობის, მეღვინეობის, კონიაკის და სპირტის მრეწველობის დებულების პროექტი. დებულების პროექტი გადაეცა საუწყებათაშორისო თათბირს დეტალური განხილვისთვის. თათბირი შესდგება სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწათ-მოქმედების სასურსათო და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების წარმომადგენლებისაგან.

**მომღერალთა გუნდი.** დღეს, ოთხშაბათს 27 მაისს, საღამოს 6 საათ. მუშათა სასახლეში შესდგება მ. კავსაძის მომღერალთა გუნდის კრება. დასწრება სავალდებულოა.

— იქვე არის გახსნილი სახალხო სიმღერა გალობის კურსები ოთხშაბათ-პარასკეობით საღ. 6—8 საათამდე. მიღება და ჩაწერა მ. კავსაძესთან.

## სრულიად საქართველოს მშრომელ ქალთა ყრილობა

**ყრილობის მეორე დღე.**

**პრეზიდიუმის არჩევა.**

სხდომა გაიხსნა დილის 10 საათზე. ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ქალთა განყოფილების გამგე ამხ. ლ. გასვიანმა, რომელიც დროებით ასრულებდა თავმჯდომარის მაგიერობას, მიმართა ყრილობას წინადადებით, რომ წამოეყენებიათ კანდიდატები პრეზიდიუმში ამოსარჩევათ.

პრეზიდიუმის წევრთა რიცხვი არ აღემატებოდა 13 ს. ამათში ოთხი ამხ. **ლ. გასვიანს, ს. დოლიძის, გასანოვ ს და ბაბაიანს**—აყენებდა ქალთა განყოფილების ცენტრი, ხოლო დანარჩენი ცხრა (9) უნდა აერჩია ყრილობას ერთგვარი პროპორციის დაცვით ისე, რომ ყველა უმთავრეს მხარეს ხვედროდა პრეზიდიუმში წევრის ყოლა.

ცოტა ხნის აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ზემოთ ნახსენებ პირებთან ერთად არჩეულ იქნენ პრეზიდიუმში შემდეგი პირები:

ოზურგეთ—1) **ფედოსია დოლიძე,** ქუთაისი—2) **ნინა გოგლიძე,** სამეგრელო—3) **ხაჯაია,** კახეთი 4) **გოგოლაშვილი,** ბათუმი—5) **ხმირნოვა,** თფილისი—6) **გიორგაძე,** ახალციხე—7) **კარაპეტიანი,** გორი—8) **ფილიევა,** ბორჩალო—9) **არშიმოვა.**

პრეზიდიუმის წევრეს მიესალმა ამხ. ბოგდატიევ სა, რომელმაც გრძნობიერ სიტყვაში უსურვა მათ ნაყოფიერი მუშაობა ყრილობის კარგათ ჩასატარებლად.

### სამანდატო კომისია.

პრეზიდიუმის მოცემულ წინადადების ამბობ არჩეულ იქმნა სამანდატო კომისია შემდეგი წევრებისაგან:

1) **სონია თალაკვაძისა, 2) ბერძენიშვილი, 3) ხტუოუა, 4) ქაჯაია, 5) გრიგოლიანი, 6) წერეთელი, 7) ხატარიშვილი.**

### საპატიო თავმჯდომარეები.

შემოსული წინადადებით ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ—ამხ. ლენინი, მაზა ცხაკაია, ფ. მახარაძე, კლარა ცეტკინი და კოლონტაი.

### სარედაქციო კომისია.

დასასრულ აირჩიეს სარედაქციო კოლეგია ყრილობისა—ამხ. **მარუსია ორახელაშვილისა, ს. დალნაია. ჯაჯაიოა, ფილიევა და ჯაფარიძისა,** რომელთაც ევალებათ ყრილობის მიერ წამოყენებული და გარჩეული ამა თუ იმ კითხვათა რეზოლიუციების გამომუშავება.

### მილოცვები.

შემდეგ ისევ დაიწყო მისალოც-მისასალმებელი სიტყვების გაგრძელება.

წარმოსთქვეს სიტყვები შემდეგმა პირებმა:

1) ამხ. დ. ნასარიძემ—ქალაქის რევკომის სახელით, 2) ს.ნ. ქურიძემ—პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობის სახელით, 3) ბოგდატიევისამ—გრუკავროსტას სახელით, 4) ჟღენტისა—თეატრი სატირ-აგიტის სახელით, 5) ს. დოლნაია—თელავის ოლქიდან, 6) ფილიევა—ბათომის ქალთა განყოფილების სახელით, 8) ბეროულავა—ქართველ კომუნისტ ქალების სახელით.

უკანასკნელის შოვინიზმით გაჟღენთილმა სიტყვამ ერთგვარი დისონანსი შეიტანა ყრილობის მსვლელობაში, რამაც გამოიწვია უკმაყოფილება, პროტესტი, შესაფერი რეპლიკები. ნურავინ ხუმრობითაც პარტიებს ნუ აკუთვნებს ამ ყრილობას; ამბობდა ის—ეს ყრილობა უპარტიო არის, რომელსაც ერთი მიზანი აქვს—გადასჭრას ქალთა საკითხი.. მაშ გაუმარჯოს ბატონებო (!) ქართველ ქალებს, ქართველ ქალთა საკითხის გადაჭრას“—დაასრულა მან. აქ ყრილობიდან მიცემულ შენიშვნაზე, რომ აქ მარტო ქართველი ქალები არ არისო, მან უპასუხა“—უმეტესობა ქართველ ბია მერე ხართ საქართველოში და აქ მხოლოთ ქართველებზე შეიძლება ლაპარაკი... მე როგორც სოციალისტი (!) არ შეიძლება ვიყო შოვინისტი, თქვენ არა გაქვს უფლება შოვინიზმათ ჩამომართვათ ესო! მისი სიტყვის დასასრულ ამხ. **ლ. გასვიანმა** მისცა მას „შემდეგი პასუხი: საზიზღარი მატყუარობა არის როცა ამბობთ, რომ თქვენი მზგავსი სოციალისტები თითქო შოვინისტები არ იყვნენ! მენშევიკების და მათი ამყოლ თქვენებრ „სოციალისტების“ სამი წლის ბატონობა განა არ გვიტკიცებს ეგრედ წოდებული „სოციალისტების“ უბოროტესს, უსაშინლეს შოვინიზმს?!. მეორედ ჩვენ აქ ქალთა კითხვებს გადასაწყვეტათ არ მოვკრებილვართ; ჩვენ აქ არავითარი „ქალთა კითხვები“ არა გვაქვს გასარჩევი. საბჭოთა რესპუბლიკის სახით მოვლინებულ საქართველოს მშრომელი კლასის დიქტატურით—ეს ქალთა კითხვა წაიშალა; მან ჰპოვა ახანა გადაჭრა იმ დღიდან, რა დღიდანაც აქ ბურჟუაზიის ბატონობა დაიმხო მის ნანგრევებზე—ქალი მამაკაცთან გათანასწორებით ბუნებრივმა დამცველმა—მშრომელთა კლასმა ახალი ცხოვრების შენება დაიწყო. ჩვენი აქ შეკრება—ეს არის მოსამზადებელი ორგანიზაცია მხოლოდ იმისი, რომ ღირსეულად ამოუდგეთ გვერდში ჩვენს მამებს, ძმებს და ქმრებს ახალი სახელმწიფოს შენების საქმეში!

გამოდის შემდეგ შორაპნის ქალთა განყოფილებას სახელით ქალი ამხ. გვილესიანისა, რომელიც აღნიშნავს შექმნილ ეკონომიურ კრიზისს, უბრალო თავ სებურ ლაპარაკში ხაზს უსვამს ხსენებულ კრიზისის აღაცილებლად მუშურგლეხურ მთავრობის მიღებულ ენერგიულ ზომებს, და აღნიშნავს მას ...

შვილებისვე ბრძოლის ფრონტზე გაწირვით დახვარებას.

დასასრულ ლაპარაკობს რაჭის წარმომადგენელი ამხ. გოგლიძისა, რომელიც თავის უბრალო სოფლური ენით მოუთხრობს ყრილობას თავის განვლილ მწარე ცხოვრებიდან მრავალ საგულისხმო მახვილ მაგალითებს ძველი მატყუარა მოღალატე მთავრობის წინააღმდეგ მიმართულს, მან აქ, რომ ეჩვენებინა,—როგორი ჭირები გადაიტანეს ბოლშევიკებზე, როგორ მოატყუეს, შეაშინეს მშრომელი ქართველი ხალხი, მოიყვანა შემდეგი თქმულება:—„შეშინებულმა ძაღლმა 12 წელიწადი უყეფა მისთვის უწყინარ ხესო“,—და აი პირველ ხანებში ჩვენც ასე მოგვივიდოდა, მაგრამ ეხლა და ეხლა თან და თან ვერკვევით ხ ენებულ ჭორებით შექმნილ შიშსო.

### მტრების ცდა.

თავიდანვე ეჩნეოდა, რომ ყრილობის მიმდინარეობის დროს, ამა თუ იმ ორატორთა სიტყვების წარმოთქმაზე, მოშორებით, დარბაზის ერთ კუთხეში, რამდენიმე პირისაგან შემდგარი ერთი უმნიშვნელო ჯგუფი თავიანთი ყვირილხმაურობით, უადგილო „მახვილით“, საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ მძულვარებით აღსავსე სიტყვებით მუდამ ცდილობდა ხელის შეშლას.

პრეზიდიუმის წევრებმა ეს შეამჩნიეს და რამოდენიმეჯერ მისცეს გამაფრთხილებელი წინადადება მათ. მაგრამ ისინი მაინც არ სცხრებოდნენ და განაგრძობდენ თავიანთ „საქმეს“.

აქ სჩანდა ორგანიზაციული ხელი რომლის მიზანი ალბათ ყრილობის ხელის შეშლა იყო.

ეს აშკარა გახდა თვით ყრილობის ყველა წევრთათვის და მათ მისცეს პრეზიდიუმს წინადადება ხსენებული ქალბატონები გაეძევებინათ კრებიდან.

ცოტა ხნის ხმაურობის შემდეგ, რომელიც იმათი კრებიდან გაყვანამ შექმნა,—პრეზიდიუმმა მოიყვანა სისრულეში ყრილობის მიერ მიცემული წინადადება. აღსანიშნავია, რომ მათი გაყვანის წინააღმდეგ 4 პირმა მისცა ხმა. მხოლოდ ეს კრებიდან გაძევებული პირები,—ქ ნი ციციშვილი და ხახუტოვა აღმოჩნდა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსისტკები.

ყრილობა დამშვიდდა.

ამხ. სანდრო ქაჯაიას და სხვების მიერ წარმოითქვა მოკლე გასაკიცხავი სიტყვები მათ წინააღმდეგ.

უკვე შუა დღის 4 საათი იყო.

სხდომა დაიხურა.

გაგრძელება იქნება ხვალ დილით 10 საათზე.

საღამოს 6 საათზე მოვიდენ საქართ. რევკომის თავმჯდომარე—ამხ. ფ. მახარაძე, ფინანსთა და იუსტიციის კომისარი ამხ. აბო ნაზარეტიანი, და ს. კ. პ. ცენტრალურ კომიტეტის მდივანი ამხ. სანდრო თუმანოვი, განათლ. კომისარ. მოადგილე ამხ. მ. ორახელაშვილი და ყრილობასთ ნ ერთად გადაიღეს ფოტოგრაფიული სურათი.

შემდეგ გაიმართა იქვე ხსენებულ გიმნაზიის დარბაზში ყრილობის წევრთათვის კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო თეატრის საუკეთესო არტისტებმა.

დელეგატი ქალები—ეს ოჯახის ვიწრო ფარგლებში ჩაკეტილნი, ამ უჩვეულო გამასპინძლებით ძლიერ კმაყოფილნი დარჩნენ.

სამანდატო კომისიის ცნობისამებრ წარმოდგენილი დელეგატი ქალები ეროვნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან:

| | | |
|---|---|---|
| ქართველი | 244 | დელეგატი |
| სომეხი | 75 | „ |
| რუსი | 44 | „ |
| მუსულმანი | 19 | „ |
| ოსი | 9 | „ |
| ებრაელი | 5 | „ |
| ბერძენი | 3 | „ |
| გერმანელი | 2 | „ |

სულ 401 დელეგატი.

ესენი არიან ყველანი გადამწყვეტი ხმით.

სევასტი.

## პროფესიონალურ კავშირებში

### მეტყევეთა კავშირში.

გამგეობამ მაისის 17 სხდომაზე მოისმინა მოხსენება საბჭოთა ფეხსაცმელთა სახელოსნოს შესახებ სატყაო განყოფილებისა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სახელოსნოში მუშაობა ჩქარის ტემპით მიმდინარეობს. მას პირველ რიგზე დავალებული ჰქონდა მუშების და მოსამსახურეების 1900 წყვილი ფეხსაცმელის შეკეთება. დავალება მან უკვე შეასრულა. ეხლა კი იგი შეუდგება მეორე დავალების აღსრულებას. მუშაობის დაწყების პირველ ხანს მუშაობა რამდენიმეთ შეფერხდა კალაპოტების უქონლობის გამო. მაგრამ ეს ნაკლი ეხლა გამოსწორებულია. ხოლოშევის ფაბრიკაში რაც კი მოიპოვებოდა ყველა აღრიცხეს და მას გადიტანენ ადელხანოვის ყოფილ ქარხანაში. ამ ქარხანაში უკვე განახლდა ფეხსაცმელების მექანიკური წარმოება.

ტყავეულობის საჭიროებისათვის ალბულახის რაიონში შეკვეთილია ტყავის გამოსაყვანი მასალა 8000 ფუთი. სატყაო განყოფილების ცნობით თბილისში ასეთი მასალა ორი ვაგონი გამოგზავნილია. დამზადებულია გადმოსაგზავნათ კიდევ 8 ვაგონი. ამ რიგათ სატყაო განყოფილების განკარგულებაში იქნება 100.000 ფ. ტყავის გამოსაყვანი მასალა. ამით კი მთელ 1921—22 წლების საწარმოვო სეზონში, ქარხანა უზრუნველყოფილია. აზერბეიჯანის სატყაო განყოფილება ფეხსაცმელთა კალაპოტების სანაცვლოთ იძლევა 60.0000 ფუთს ნედლ ტყავს. მოლაპარაკება ჯერ არაა დამთავრებული.

### მზარეულთა კავშირში.

შესდგა მზარეულთა საქალაქო კონფერენცია მიმდინარე მომენტზე და საბჭოთა აღმშენებლობაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ნუცუბიძემ. კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი მიესალმება საქართველოს რევკომს და მის ბელადს ამხ. ფ. მახარაძეს. მიიღო რა მხედველობაში ბურჟუაზიულ მენშევიკური პოლიტიკის მოღალატური ხასიათი, კონფერენცია ნოე რამიშვილის მთავრობას ზიზღს უცხადებს. მენშევიკური დიქტატურის შემოსვლებათ და განსამტკიცებლათ ამ მთავრობამ ლოიდ-ჯორჯს ფულზე მიჰყიდა მუშათა კლასის ინტერესები. კიდევაც სანამ ეს მთავრობა ბატონობდა, მუშათა კლასი განიცდიდა საშინელ ტანჯვასა და წვალებას.

### სასურსათო კავშირში

14 მაისს მოხდა სხდომა საქალაქო მომზადებელთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, ლიმონათის ქარხნების პატრონებთან და დამტარებლებთან ერთად. მოისმინეს მოხსენება მინერალურ წყლების ქალაქში დატარების შესახებ. საკითხის ყოველ მხრივ განხილვის შემდეგ მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: არჩეულ იქნას კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით (ორი პატრონის მხრივ, ორი მუშებისა, ხოლო მეხუთე უნდა მოიწვიონ კავშირიდან), რომელთაც უნდა შეიძინონ და გამოარკვიონ საქმე ადგილობრივ, ხოლო გამორკვევამდე წინადადება მიეცეს იმ პატრონებს, რომელთაც ჰყავთ ცხენები, განაახლონ ლიმონათის დატარება სანამ კომისია საქმეს გამოარკვევდეს. კომისიაში აირჩიეს ამხ. ლოლაძე, ჩახანელიძე, ტკაჩენკო და რამიშვილი.

მუშებისაგან სალიკვიდაციო ფულის გამორთმევის შესახებ დაადგინეს ეს ფული გადაიხდევინონ მწარმოებლებს და არა მუშებსა და მოსამსახურეებს.

4 მაისს მოხდა „საქალაქ დამამზადებელთა“ გამგეობის სხდომა განახლებულ შემადგენლობით. პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სეროფიანმა, რომელმაც იმედი გამოსთქვა, რომ ახალი გამგეობა არ იმუშავებს ძველის მაგვარად, რომელიც შესდგებოდა ნაწილად ეგრე წოდებულ დამოუკიდებელ მენშევიკებისა და ფედერალისტებისაგან, რომელიც მხოლოდ კრიტიკას და საბოტაჟს უნდებოდნენ. ახალი გამგეობა, რომელიც შესდგა უმეტესად კომუნისტებისა და შეგნებულ უპარტიოთაგან, იმუშავებს კავშირის 30,000 წევრისთვის როგორც ნამდვილი მუშები, რომელთაც იციან მუშების გაჭირვება და გვერდენ ბენ თავგამოდებულით მუშაობის მაგალით.

### მელითონეების კავშირში.

ხაშურის რაიონის წვრილ სახელოსნოების მელითონე მუშების საერთო კრებამ, მოისმინა რა მელითონეთა კავშირის წარმომადგენლის მოხსენება ქარხნის კომიტეტების მიზანსა, უფლებასა და დანიშნულებაზე, დაადგინა აირჩიონ საერთო ქარხნის კომიტეტი ამხ. ნოზორევსა და ფელფილაქტოვის შემადგენლობით, მათ კანდიდატებათ აირჩიეს ამხანაგები ბუჯიაშვილი და გრუზენბერგი.

შემდეგ მოისმინეს მოხსენება საბჭოთა ხელისუფლების სატარიფო პოლიტიკაზე და წვრილ შინა მრეწველობის სახელოსნოებისა და დამფასებელ კომისიების ინსტრუქტორის შესახებ. მოხსენება მიიღეს ცნობათ. დაადგინეს ეთხოვოს კავშირის სატარიფო სანორმე განყოფილებას, რაც შეიძლება ჩქარა გაატაროს ცხოვრებაში ახალი ტარიფი. ტარიფის ცხოვრებაში რაც შეიძლება მალე და კარგად გატარებისთვის გაიგზავნოს მუშების მხრივ დამფასებელ კომისიაში ამხ. ნოზორევი და კოვალევსკი და წინადადება მიეცეს სახელოსნოების პატრონებს აირჩიონ ერთი წარმომადგენელი იმავე დამფასებელ კომისიაში.

მოისმინეს მუშათა ორგანიზაციების მოხსენების შესახებ შრომის დაცვის დარგში და დაადგინეს: იცნან მუშაობა შრომის დაცვის დარგში ღირსათ სერიოზულ ყურადღებისა კავშირის ორგანოების მხრივ და მიენდოს კავშირის ქარხნის კომიტეტს სასტიკათ თვალი ადევნოს წარმოებათა პატრონების მიერ ამ დარგში ყველა კანონების მტკიცეთ შესრულებას.

მოისმინეს კავშირის კულტურულ განყოფილების გამგის ამხ. პრეობრაჟენსკის მოხსენება განყოფილების მუშაობის შესახებ და ადგილობრივ კულტურულ იაჩეიკების მიზნის შესახებ დაადგინეს აირჩიეს კულტურული იაჩეიკა ამხ. ნოზდრევის, არუთინოვის და მიტელმაიერის შემადგენლობით. მიესალმოთ საბჭოთა ხელისუფლების ყველა მოქმედებას კულტურულ განმანათლებელ მუშაობის დარგში მუშათა მასებს შორის. ყველა მუშები ჩაეწერნენ მუშათა კლუბის და სახალხო უნივერსიტეტის წევრათ, ეთხოვოს კულტურულ განყოფილებას გახსნას ს ხელოსნების რაიონში ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და აგიტ პუნქტები.

დასასრულ მოისმინეს მოხსენება პურის მიღების შესახებ. დაადგინეს მიენდოს ქარხნის კომიტეტს ყველა მუშები ჩაწერონ მუშათა მაგიდაში პურის მისაღებათ და წინადადება მიეცეს ყველა წარმოების პატრონებს შეიტანონ ყოველ მუშაზე 15,000 მან.

## მუშათა ცხოვრება

### თბ. ქ. ლ. 1 საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა კრება.

1921 წ. 7 მაისს, ქალაქის პირველ საავადმყოფოში მოხდა საერთო კრება ამავ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა, რომელსაც დაესწრო 120 კაცამდის. მოხსენება ქართულ და რუსულ ენაზე გააკეთა ამხანაგმა გ. ელისაბედაშვილმა შემდეგ თემაზე „საბჭოთა მთავრობა და ნაციონალური საკითხი“. კრება ადგილობრივ კომიტეტის და კომიაჩეიკის სახელით გახსნა ამხანაგმა ტ. სვანიძემ. მუშები მომხსენებელს სიამოვნებით უსმენდა. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: საბჭოთა ხელისუფლება არის ერთად ერთი ფორმა, შრომის ყველა საკითხების საუკეთესოდ გადამჭრელი და კაპიტალთან მებრძოლი; საბჭოთა ძალა უფლები არის სახეობა მშრომელთ დიქტატურისა, რომელიც მიგვიყვანს კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. ჩვენ, მუშა კაცები და ქალები მოლიანად ჯეროვანი სიმტკიცით მხარს უჭერთ საბჭოთა ძალა-უფლებას საქართველოში და გვჯერა, რომ ეროვნული საკითხი, რომლის გამო ილვრებოდა ხალხის სისხლი, დღის საბჭოთა ძალა უფლების მიერ გადაწყვეტილი იქნება ყველა დაჩაგრულ ეროვნებათა საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს საბჭოთა წესწყობილებას.

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას, ამ აუცილებელ პირობას მთელი ქვეყნის პროლეტარების შეერთებისას.

გაუმარჯოს რევოლიუციის შტაბს, მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

მდივანი ტ. სვანიძე.

## პროვინციაში

### ხაშური.

17 მაისს ადგილობრივ მუშათა კლუბში შესდგა ხაშურის უპარტიო ქალთა კრება. კრებას დაესწრო თითქმის მთელი ხაშურის მშრომელი ქალები. კრების დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) საქართველოს უპარტიო ქალთა და საერთაშორისო უპარტიო ქალთა ყრილობების შესახებ. 3) არჩევნები.

მოხსენება მომენტზე გააკეთა ამხ. ს. მდივანმა. იგი ვრცლად შეეხო დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობას, აღნიშნა აგრეთვე მნიშვნელობანი ქალთა მოძრაობისა საერთაშორისო მასშტაბით. მის სიტყვამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია და ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხ. ს. მდივანის მოხსენება, ქ. ხაშურის ქალთა კრება მიესალმება საქართველოს ქალთა კონფერენციას, საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლებს. ქალები კაცებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებული მივდივართ სოციალიზმისაკენ და ფიცსა ვსდებთ უკანასკნელ წუთამდე ვიყოთ დამცველნი ჩვენი თავისუფლებისა, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას! იმავე ამხანაგმა გააკეთა მოხსენება მეორე საკითხზე. მან მარტივად დაასურათა მნიშვნელობა ქალთა ყრილობებისა, აღნიშნა მათი დიადი მიზანი, როგორც გამომფხიზლებელის მშრომელ ქალთა. შემდეგ მოხდა არჩევნები ორი წარმომადგენლისა საქართველოს უპარტიო ქალთა ყრილობაზე. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ ამხ. ხოზბერიძე და ჭანკოტაძე.

### ს. ველისციხე.

კახელ გლეხის საცხოვრებელ წყაროს უმთავრესათ მევენახეობა წარმოადგენს. ეს დარგი მეურნეობისა, შეიძლება ითქვას, აყვავებულია, თუმცა მას პრიმიტიული ხასიათი აქვს. კერძოთ სოფელ ველისციხეში მევენახეობით არის უზრუნველყოფილი ყოველი მოქალაქე. ვისაც კი აქვს პატარა მიწის ნაჭერი სულ ვაზებით არის გაშენებული.

ვენახის კარგათ დამუშავებას და მის ნაყოფიერების მოსატანათ უპირველეს ყოვლისა საჭიროა შაბიამანი და გოგირდი. შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობის წყალობით სეზონისთვის შაბიამნით ადგილობრივი მევენახეები უზრუნველყოფილნი არიან. ძალიან საწყალობ დგას გოგირდის საკითხი, 1921 წლის სეზონისთვის შემნ. გამს. ამხ. მიერ გოგირდი არის მოტანილი მხოლოთ 680 ფუთი და განაწილებულია ორ სამ ფუთობით დესეტინაზე ვისაც გასწვდა. ამავე დრო დიდი ხნის გამოცდილებით ვიცით, რომ დესეტინაზე გოგირდი ესაჭიროება საშუალოთ ხუთი ფუთი და მთელ ველისციხის რაიონს კი 7000 ფ.

ადგილობრივი გლეხი მევენახე სასოწარკვეთილებას არის მიცემული, რადგანაც მან კარგათ იცის თუ რა უბედურება მოელის მას უგოგირდობით. გოგირდი არ მაქვს, ვენახი გამიფუჭდება და საბოლოთ შიმშილით სული ამომძვრებაო“ ამბობს ის. რევკომმა ეს კარგათ იცის და თავის დროზეც გადადგა შესაფერი ნაბიჯები. მან გაგზავნა რწმუნებულები თბილისში ამ საკითხის მოსაგვარებლათ. რწმუნებულებმა მიჰმართეს ნარკომზემში. აუწერეს საწყალ მევენახის მდგომარეობა და სთხოვეს დახმარება. იქ მათთვის ეთქვათ კახეთის რაიონში გამოვგზავნეთ 6000 ფ გოგირდიო. ამ გოგირდიდან ველისციხის რაიონს შეხვედრია მხოლოთ 1500 ფ იმ დროს, როდესაც ესაჭიროება 7000 ფ. საჭიროა ვიცოდეთ ისიც, რომ აღნიშნული 1500 ფ. გოგირდი არის გადმოგზავნილი კახელ მევენახეთა კავშირთ კავშირში და ამას განაწილებაც თუ მათ დაევალათ, არავითარ სარგებლობას არ მოუტანს ჩვენი რაიონის ღარიბ მევენახეებს, ჩვენი აზრით კი კარგი იქნებოდა, რომ ეს გოგირდი გადაეცეს შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას და მიენდოს მისი განაწილებაც, რადგანაც ეს ძველადვე აწარმოებდა ამ ოპერაციას და აწერილიც აქვთ მთელი ვენახები.

საჭიროა ყველა ამას მიექცეს სათანადო ყურადღება ვისაც ჯერ არს. ჩვენი აზრით კი უნდა მთავრობამ გადასდოს ერთგვარი თანხა, რომელიც მიეცემათ ღარიბ გლეხობას სესხის სახით და მათ იგი შეიძინონ როგორც გოგირდს აგრეთვე სხვა საჭირო სავენახე მასალას.

კახეთის მევენახეობას აქვს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, ამისათვის უნდა ეხლავე იყოს გადადგმული ნაბიჯები, რათა საუკუნოების განმავლობაში გლეხის წვით და დაგვით და აუტანელი შრომით მოპოვებული სიმდიდრე მევენახეობა არ დავაყენოთ დაღუპვის გზაზე.

ხ. ფ.

### ს. გეჯეთი.

ს. გეჯეთში 1 მაისის მომწყობი კომისია აქ ოთხი დღით ადრე შესდგა. 1 მაისს დილის 8 საათზე სოფელს ქონდა სადღესასწაულო ელფერი. სოფლის მთელი ქუჩა იყო მოწყობილი ცოცხალი ყვავილებით და გირლიანდებით. ერთ დიდ მიდორზე „ნაფაცხავოზე“ ტრიბუნა იყო გაკეთებული, შემკული ჩვენი ბელადების მარქსის, ლენინ, მახარაძე ცხაკაიას, სურათებით ყვავილებში. დილის 10 საათზე მთელი სოფლის მცხოვრებნი დიდი პატარამდე მოგროვდნენ ერთად და გაეშურნენ ადგილობრივ სკოლისკენ; იქ დიუხვდათ შეიარაღებული ამხანაგები, აგრეთვე ურმები—გაწყობილი ყვავილებით და პლაკატებით. წინ მიუძღოდა ცხენოსანთა რაზმი ინტერნაციონალის სიმღერით. ცხენოსანთა რაზმის შემდეგ ურმები წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს“ მათ მიზდევდა მთელი ხალხი. ასე დაიარეს სოფლის ყველა კუთხეები. შემდეგ დაბრუნდნენ იქ, სადაც იყო გაკეთებული ტრიბუნა. პირველათ ილაპარაკა ძველმა მუშამ ამხანაგ ს. თურქიამ, რომლის დანახვამ ხალხში გამოიწვია აღტაცება. ამხანაგმა განმარტა 1 მაისის მნიშვნელობა, შემდეგ მიეგება მოზარდ თაობას საბჭოთა მთავრობის სახელით. ამხანაგი თურქია დააჯილდოვეს ტაშით. გეჯეთის მშრომელი გლეხობა ამაყობს, რომ ინტერნაციონალის დროშ ს ქვეშ ზეიმობს მუშა და გლეხურ დღესას წაულს. უსაზღვროა მათი სიხარული. 12 საათზე გზე ტუშრა ცხენოსანთა რაზმი, გეჯეთის გლეხობამ შეაერთა რაზმები, წინ წაიძღვნიეს წითელი დროშები და გაეშურნენ მდინარე ტეხურისკენ სადაც შეერთდნენ—გეჯეთის და ძველ სენაკის მშრომელი გლეხობა. საუცხოვო სურათი იყო, ხალხი დიდათ დაკმაყოფილებული დარჩა.

ხ. ფ.

### ძიმითი. (გურია)

დღეს, განთავისუფლებულ მშრომელ ხალხთან ერთად ძიმითის თემის კომუნისტური პარტია შეუდგა აღმშენებლობითი მუშაობას: დაარსდა სარაიონო ბიურო და ახალ კომუნისტური კავშირი, სადაც ახალგაზრდობა ბლომად ეწერებიან. განზრახულია ახლო მომავალში მოეწყოს კომპარტიის ქალთა ორგანიზაციაც. თემში სრული სიწყნარე და მშვიდობიანობაა, რაც მიეწერება ადგილობრივ ადმინისტრაციის სიფხიზლეს და დაუღალავ მუშაობას. მენშევიკების მიერ მოტყუებული ღარიბი გლეხები ეწერება ჩვენს პარტიაში და ფიცსა სდებენ არ უღალატონ მშრომელთა ერთად ერთ დამცველ მცველ კომუნისტურ პარტიას. ხშირად იმართება წარმოდგენა. 7 მაისს წარმოდგენილ იქმნა „სიკვდილით დასჯა“. აუარებელი ხალხი დაესწრო. თავის როლებს სცენის მოყვარეები საუცხოვოდ ასრულებდენ, რაზედაც ხალხი ახურვალე ტაშის ცემით მადლობას უძღვნიდენ. განზრახულია მოეწყოს „შაბათობა“ წითელ ჯარში მყოფ ოჯახის ერთმარჩენალთა ჯ. კარისკაცების ყანების დასამუშავებლათ. აი, ასეთ დროს, თუ ვინმე განიზრახავს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებას მას პასუხს აგებინებენ მშრომელი ხალხის მთავრობის წინაშე, სადაც კონტრ რევოლიუციონერს რიგიანათ უმასპინძლდებიან.

მ. შუაღელისპირელი.

## წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო,

გთხოვთ მოათავსოთ ეს განცხადება გაზეთ „კომუნისტში“.

ვიზიარებ რა საქართველოს კომუნისტურ პარტიის პროგრამას და ტაქტიკას, მე ვტოვებ სოც. ფედ. სარევოლიუციო პარტიას და გადავდივარ კომუნისტურ პარტიაში.

დიტო კლდიაშვილი.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2-ე რაიონის ბიურო [illegible] ლის ქ. № [illegible] ტელ. 5—69.

— მე-3-ე რაიონის ბიურო—[illegible] ზარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. [illegible]

მე-5-ე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

## განცხადებანი

### პროფესიონალური

პარიკმახერების პროფ-კავშირის წევრთა საყურადღებოთ ვაცხადებთ: ვისაც არ გადაუხდია აპრილის თვის საწევრო გადასახადი, ვაძლევთ წინადადებას გადაიხადონ ა. წ. 1–6 ივნისამდი. ვინც არ გადაიხდის ამ დრომდე, იქნება გამორიცხული კავშირიდან.

პროფ კავშირების თავმჯდომარე ლავრენტი ქანთარია.

მდივანი: ჯაფარიძე.

ხაზინადარი: ფიცხელაური.

27 მაისს, საღამოს 6 საათზე (დრო ადგილობრივი) ყოფილ სამხედრო სასწავლებლის შენობაში წაკითხული იქნება მოხსენება, კავკას. განყ. მთავარ სამხედრო სამოსწ. დაწეს. სამმართვ. უფროსის ამხ. სერე ბრიაკოვისა თემაზედ: „სამხედრო სკოლა საქართველოში“.

## მოხსენების თეზისები

ა) აუცილებლობა საქართველოში სამხედრო სკოლის შექმნისა

ბ) ქართულ წითელ კომანდირის აღზრდის და სწავლის მეთოდები.

გ) სოციალიზმის ფიზიკური კულტურის კითხვები.

შენიშვნა:

ა) სასურველია ყველა ყოფილ ქართველ ოფიცრების დასწრება.

ბ) ს. ს. ს. რ. ჯარების ნაწილების, დაწესებულების და სამმართველოების მეთაურთა შემადგენლობის დასწრება სავალდებულოა.

სახ. სამ. საზღვ. კომისარიატის შტაბის უფროსი, გენერალური შტაბისა ა. გაბაშვილი.

შტაბის სამხედრო კომისარი მაყაშვილი.

## შენობათა კომიტეტისაგან

ს. ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო შენობათა კომიტეტი იწვევს ქალაქ გორის და გორის მაზრის სოფლების (გორის რაიონი და სამხრეთ ოსეთი) აღმდგენელ სამმართველოს თანამშრომლებს: ინჟინერებს, ტეხნიკოსებს, ათის თავებს, მხაზავებს, მნუსხავებს, კანტორის მოხელეებს და ბუჰგალტერებს, საქმის მწარმოებლებს, მაანგარიშეებს, გადამწერებს და საწყობის გამგეებს.

წინადადებით უნდა მიმართოთ სახელმწიფო შენობათა კომიტეტს (სერგიევის ქ. № 8) ან და ქ. გორის სამმართველოს, ქალაქის ყოფილ გამგეობის შენობა.